F343
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდერი

№2. მარტი-აპრილი. 2001 წ.

ძმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?

ყველაზე პატარა ჩიტია კოლიბრი. მისი სიგრძე სულ 5 სანტიმეტრია. ყველაზე დიდი ფრინველი სარაქლემაა. მისი სიმაღლე 2,5 მეტრია.

შენიშვნა: სარაქლემა ვერ დაფრინავს, მაგრამ ძალიან სწრაფად დარბის. შესაბამისად, მას სუსტი ფრთები და ძლიერი, ჩლიქებიანი ფეხები აქვს.

ხოხობს თავისი ბუმბულის წყალობით, შეუძლია მტერს ბალაბში დაეშალოს, თოთიყუშები კი შორდებიან შეიმჩნევიან ჭრელი სამოსით.

პინგვინი ისეთი ფრინველია, რომელიც ვერ დაფრინავს. მას არც ბუმბული აქვს. სამაგიეროდ ფეხებზე, თითებს შორის გაბმული აპკის დახმარებით ეხი

შესანიშნავად დაცურავს. პინგვინს ფრთებიც აქვს, რომელსაც მხოლოდ ცურვის დროს იყენებს.



თულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის დირექტორს ქალბატონ მანანა ტარიელაშვილს და ქალბატონ რუსუდან ძაგნიძე-გოგობერიძეს იმ სიკეთისათვის, რაც ჩვენი ჟურნალის მიმართ გამოიჩინეს. ასევე უღრმეს მადლობას ვწირავთ ქალბატონ **მაია ნიკოლაძე-ზოდელავას,** რომლის შემწეობითაც ქალაქის მერიიდან 300 ლარი გადმოირიცხა. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმ ქალბატონებს, რომლებმაც საყმაწვილო ჟურნალის გასაჭირი გულთან კი მიიტანეს, მაგრამ დღევანდელი შეჭირვებული მდგომარეობის გამო ჩვენი დახმარება ვერ შეძლეს!

მანანა ტარიელაშვილი (200 ლ.)

რუსუდან ძაგნიძე-გოგობერიძეს (200 ლ)

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

გაზაფხული მოვიდა

– გაზაფხული მოვიდა, გაიღვიძეთ! – დაჭახჭახა საიდანღაც მოფრენილმა შაშვმა და კუნელის კენწეროზე დასკუბდა.

– შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარი! – მიაძახეს შაშვს აქეთ-იქიდან ფრინველებმა და მხიარულად აყივყივდნენ.

– იცოცხლე და იმრავლე, მახარობელო! – აზუზუნდნენ მწერები, აფარფატდნენ ჭრელ-ჭრელი პეპლები, გაიღვიძეს მინდვრის ყვავილებმა, თავი ააშვეს ნაკადულებმა და მიყრუებული ღელეები აახმიანეს.

– რაო, რაო? გაზაფხული მოვიდაო? – იკითხა კუნელის ძირას წათვლემილმა ყოჩივარდამ და თვალი გამოაჭყიტა. ღმერთო, ირგვლივ ბნელოდა, არაფერი ჩანდა.

ყოჩივარდამ მუხლის გამართვა სცადა, მაგრამ გაუჭირდა. თავზე შარშანდელი, ჟანგისფერი მუხის ფოთოლი საბანივით გადაჰფარებოდა, ზევით არ უშვებდა.

ყოჩივარდამ ძალ-ღონე მოიკრიბა. აიწია, აიწია და მუხის ფოთოლიც დაიძრა, ჯერ გვერდზე გაცოცდა, მერე გადავარდა.

– მუხის ფოთოლი ყოფილა. ნეტავი საიდან მოჩერჩეტდა, კინაღამ გამგუდა და სიცოცხლეს გამომასალმა! – შესძახა გაგულისებულმა ყოჩივარდამ და მუხლი გამართა, მელანივით ლურჯი თვალებით კამკამა ცას შეხედა. მზე საამურად ანათებდა, ბუნება გაზაფხულის მობრძანებას ზეიმობდა.

ყოჩივარდას ნათქვამმა გული ატკინა მუხის ფოთოლს. ის ხომ მთელი ზამთარი საბანივით ზედ ეფარა, უფრთხილდებოდა, რომ ყინვას არ დაეზრო, ქარს არ ამოეთხარა მიწიდან, ყოჩივარდამ კი რა თქვა: საიდან მოჩერჩეტდაო.

– სწორედ ეგ არის სიკეთის დაუნახაობა! – ნაღვლიანად აშრიალდა მუხის ფოთოლი და ღამით დადენილი ცის ნამი ცრემლებად ექცა.

კუნელის კენწეროზე წამოსკუპებული შაშვი კი ჭახჭახებდა და ჭახჭახებდა:

– გაზაფხული მოვიდა, გაიღვიძეთ!

ფანტაზია
მალხაზ კუხაშვილი

ზურაბ კუხიანიძე

ქეთინო და დედოფალა

25%-იანი ფასდაკლება

„დილის“ ენციკლოპედია

ძვირფასო მეგობარო!

თუ გსურთ შეიძინოთ ძვირფასი საჩუქარი თქვენი და თქვენი ახლობლების შვილებისთვის, ყურადღება მიაქციეთ ამ ბარათს!

ვიწყებთ **„დილის“ ენციკლოპედიის** გამოცემას, რომელიც ბავშვებს ლაკონურ, მარტივ და მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდის საინტერესო მასალებს კულტურის, რელიგიის, ეთნიკის, ისტორიის, ლიტერატურის, მედიცინისა თუ მეცნიერების სხვა დარგების შესახებ. შინაარსობრივად მრავალფეროვანი და მდიდრულად ილუსტრირებული „დილის“ ენციკლოპედია ევროსტანდარტების დონეზე დასრულებული.

ეს იქნება თქვენი შვილებისა და შემდგომი თაობების უბრალესი გზამკვლევი და სამაგიდო წიგნი, წიგნი-საგანძური.

„დილის“ ენციკლოპედია პერიოდული გამოცემაა.

პირველი წიგნი გამოვა 2001 წლის ბოლოს.

„დილის“ ხელმომწერებისთვის გათვალისწინებულია 25%-იანი ფასდაკლება.

...ის ბურთი

...ს,
უცნაურად ელვარე;
ბურთზე ნახავ ალმების თუ
კავკასიის მწვერვალებს,

ევროპას და ამერიკას,
აფრიკას და აზიას.
ეველა ამას გაიძახის:
— დედა, რა ლამაზია!

gbi
dzmiZe

მაგრამ გაბი არ ერევა
იმათ დავა-კამათში,
ფიქრობს: „არ გამიგონია
დედამიწით თამაში“.

ზარმაცი გოჩა

— მზე ჰირს იბანს, — უთხრეს გოჩას,
გოჩა უნდოდ გაიბადრა:
— დედა არ ჭვავს, ალბათ, თორემ,
თავად რატომ დაიბანდა?

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ზურაბ კუხიანიძე

ქეთინო და დედოფალა

ჩემი ქეთინო ლამაზა,
სანამ ეწვევა ძილია,
მოიწვევს დედოფალასა,
იძახის: „ჩემი შვილია!“
მე ვეუბნები:
— ქეთინო,
ჩემო კარგო და კეთილო,
ეგ შენი ტკბილი ჟღურტული
მინდა, რომ შეგაწყვეტინო.
მიწას ახნიხარ ბალახად,
დიდ გზაზე ჯერ არ გივლია,
შენ თვითონ დედოფალა ხარ
და რა დროს შენი შვილია.

* * *

ქეთუნიას უყვარს ტკბილი,
ნაყინი და სნიკერსები,
რამდენჯერაც გაიღიმებს,
მეც იმდენჯერ ვეღლეკსები.

ზაალ ეგანოიძე

გაბის ბურთი

gabi
ebanize

გაბის ბურთი მოუტანეს,
უცნაურად ელვარე;
ბურთზე ნახავ ალპების თუ
კავკასიის მწვერვალებს,
ევროპას და ამერიკას,
აფრიკას და აზიას.
ყველა ამას გაიძახის:
— დედა, რა ლამაზია!

მაგრამ გაბი არ ერევა
იმათ დავა-კამათში,
ფიქრობს: „არ გამიგონია
დედამიწით თამაში“.

ზარმაცი ბოჩა

— მზე ბირს იბანს, — უთხრეს ბოჩას,
ბოჩა უნდოდ გაიბადრა:
— დედა არ ჭყავს, ალბათ, თორემ,
თავად რატომ დაიბანდა?

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული

რეზო ჭეიშვილი

ჯეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში, ხილიანზე, გვყავდა ერთი ძაღლი, ერქვა ჯეკი. ჩემთან ერთად გაიზარდა და, მე რომ კაცობაში შეველ, ის დაბერდა, თბილი ქვისფერი ძუკნა გახდა. ჩვენიო, რომ ვამბობ, ჩვენი სახლისა იყო. მთელ კორპუსს, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად, თავისად მიაჩნდა. ტერენტი გრანელს ერთი ლექსი აქვს ძაღლზე, კერძოდ, ჯეკზე, ცხადია, არა ჩვენს ჯეკაზე:

ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, / ალბათ, სიხარულს გრძნობს გიტარაში, / ახლა ჯეკია ჩემი მშველელი, / ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი...

ალბათ, სიხარულს გრძნობს გიტარაშიო, ცოტა უცნაურია (არაუცნაური ლექსები პოეტ ტერენტის თითქმის არცა აქვს); ძაღლს გიტარაში რა შვება და სიხარული უნდა ეშოვა. პოეტი პოეტია, ძაღლი, ძაღლის არ იყოს, ძაღლია და გიტარასთან მისი მგრძნობიარობა პოეტის თუ პოეტური წარმოსახვის ფანტაზიაა აშკარად.

ჯეკი წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ ყრიდა ლეკვებს და მათი თვალის ახელამდე არც ჭამა ახსოვდა, არც სმა. იმ დროს ბრაზიც ჯაბნიდა და მის ახლომახლო სულიერი, მითუმეტეს ოთხფეხი, ვერ გაიჭაჭანებდა. გადიოდა დრო, ვნებები ცხრებოდნენ. ჯეკი უკვე ცოტა ხნიო, შემდეგ კარგა ხნითაც ტოვებდა ბუნაგს. ბუხულია, ახალთვალგახელილი, ბნელი სარდაფის კიბის მტვრიან საფეხურებს გამოცილებული, სადარბაზოში გამობობღებული ლეკვები ღია კარიდან შემოვარდნილ მძლავრ სინათლეს უსწორებდნენ თვალებს; მათს გაოცებულ, მრგვალ გუგებში ირეკლებოდნენ ლურჯი ცის ფონზე ასვეტილი სახლების სილუეტები. ლეკვები, ბოლობოლო, ჩვენი სახლის მობინადრეთა სიტყვიერი და ჯეკის უსიტყვო ნახევართანხმობით მოქალაქეებს მიჰყავდათ. ჯეკი აღარ დარდობდა, ხვდებოდა, რომ მისი ნაშიერნი კარგ ეზოებში დაბინავდებოდნენ, გამრავლდებოდნენ, შეავსებდნენ ეზო-სადარბაზოების სიცარიელეს ფოლადისფერი ბეწვით, მშვიდი და ფხიზელი ყოფიერებით. ჯეკიც თავისუფალი იყო დედური, თუმცა არა ძაღლური მოვალეობისაგან. სდარაჯობდა ზონას, დაჰყვებოდა ბავშვებს, უმეთვალყურეოდ დარჩენილ პატარებს უფროსების გამოჩენამდე არ შორდებოდა; გამომცდელად აკვირდებოდა უცხოს, ავ კაცს (როგორ ცნობდა, ძაღლური საიდუმლოა) უყეფდა.

მარტოხელა პედაგოგმა ჩვენი სახლი რომ მიატოვა, ძაღლმა იჯავრა და ბოლოს ჩემი ბინის კართან გადმობარგდა. ფეხსაწმენდ ტილოსთან ახლო, საგაზეთო ყუთს ქვემოთ, თათებში დრუნჩჩარგული, შუადღის სიცხეს თავგარიდებული თვლემდა ხოლმე. ყველას ძაღლურ პატივს სცემდა და უმეტეს მაინც — ბაადურს, ჩემი ვარაუდით. თავად ბაადურს ყველა და ყველანაირი ოთხფეხი უყვარდა (ჯეკზე ლაპარაკი არაა) თავისებურად. მზის ჩასვლისას ვერის ხეობაში გააბოტებდა, დიდი, სქელძირიანი წაღების კვალდამჩნევით და მხლებლით. გადიოდა ვაკეში და ბარნოვის ქუჩამდე არმისული, შედიოდა დისკოთეკის ბარში, წრუპავდა ვისკის, გოგო-ბიჭების კინნიალ-ბრუალში მონაწილეობას არ იღებდა. ჯეკი პირველსავე კვარტალთან რჩებოდა, ბრუნდებოდა უკან და ნაშუაღამევს (იცოდა ბაადურის ასვლა-ჩამოსვლის განრიგი) უხვდებოდა ბოგირთან, ვერეღელეზე რომ იყო გადებული. ნაბახუსევი, ცოტა გაბურბუსალებული ბაადური დღის თორმეტ საათზე (მისთვის დილა-ალიონზე) მწერალთა სახლთან ელაპარაკებოდა ჯეკს, გრძელი ყურის წკინტებით უსუფთავებდა თვალებს, შემდეგ აცილებდა ტკიპას, ჯღიბას, ყველანაირ მკბენარს.

— გეყოფა ახლა, წადი!

ჯეკი მხხვილი, ღონიერი კუდის ქიანით და რატომღაც ცხვირის ცემინებით მიდიოდა.

ერთ საღამოს, არ დაიჯერებთ, ჯეკი

მხატვარი ვაჩე ქურდიანი

დისკობარში შეჰყვა. პროსპექტს არ გადალახავდა და არც უფიქრია, თუ ისევ უკან მოჰყვებოდა, თანაც — ამალით. ჯეკს მთელი ხეობის ხვადები ასდევნებოდნენ დიდიან-პატარიანად. მიდის ბაადური დინჯად და ძაღლების კავალკადა მიჰყვება გაბაწრული. შევიდა ბარში და შეჰყვა ჯეკი და ოცამდე სასიძო. ატყდა ნიოკი, ყეფა, კივილი. ძლივს გაათავისუფლეს საძაღლეთად ქცეული შენობა თვალში სინათლედაკარგული ნაგაზებისაგან.

მეორე დილით (დაახლოებით 12 საათზე) გაბურბუსალებული, გამოუძინებელი ბაადური ძაღლს საყვედურობდა, მომჭერი ხომ თავიო.

— მეორედ არ მაკადრო მასეთი რამ!

დოლიძის ქუჩის ბოლოს, შუაღამით, არ ვმალავ, გვარიანი ნასვამი, მანქანით ხეს შევასკდი. მეხთატეხა იყო ჩემს ყურში, ელვამ გამინათა გონება და ჩამიქრო. ცხელმა დრუნჩმა გამომამფხიზლა, ვიღაც მქაჩავს შიშველ მკლავზე. ძაღლის კბილები ვიგრძენი, ჯეკიც ვიცანი. დაჯახების საზარელი ხმით დაფეთებული უბნელებიც მოცვივდნენ, ცეცხლწაკიდებული მანქანიდან გამომათრიეს. სასწრაფო დახმარების კარეტა რომ მოვიდა, ჯეკმა წკმუტუნ-ყმუილი დაიწყო. სანამ თავზე ხელი არ დავადე, ნუ გეშინია-მეთქი, არ დაწყნარდა.

...ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია, / ალბათ მას ტანჯავს ფიქრების წყება. / ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია, / სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა...

გავიდა დრო და ერთ დღეს ბაადური მხარზე ბარგადებული მომადგა. რა არი, მე ვეუბნები, საბარავად მიდიხარ?!

ნუ იცინიო, მითხრა, ჯეკი მოკვდა, უნდა დავმარხოთო.

სად, როდის? — შევწუხდი ძალიან, რამდენიმე დღე, შეიძლება მთელი ორი კვირა თვალი რომ არ წამიკრავს, მაშინ გამახსენდა.

არქიტექტორთა სახლის წინ წევს (აგდიაო, არ თქვა). მთელი ამ ორი-სამი სახლის ბავშვებიც იქ არიან თავდაყრილნი, დაკრძალვაში მონაწილეობენო, ამიხსნა. მივედით. ბავშვები იქ არ დამინახავს. ჯეკიც არ ჩანდა და ხომ არ მოეჩვენა-მეთქი, ესეც კი ვიფიქრე. იქვე იწვა გარგარის ძირას. მიწა გაეფხოჭნა და გრილოში დაელია სული მაისის მზიან დღეს. ამოვთხარეთ სამარე გზისპირს, ნაბილიკართან. ისე კი ვიკითხე, რატომ ვმარხავთ მაინცდამაინც აქ, ამ სახლის წინმეთქი. სადაც მოკვდა, იქ უნდა დაიმარხოს, ასეთი წესიაო. ცოტა გვერდზე, მიფარებულში, გადამწვანებული გარგარის ქვეშ მომკვდარიყო, მაგრამ, რაღაი წესი იყო ისეთი, უნდა დავმორჩილებოდი წესს, რომელიც მანამდე არ მქონია გაგებული. ღორღნაყარი და დატკეპნილი მიწა ძნელი ამოსაყრელი შეიქნა და სამარეც ღრმა არ გამოგვივიდა. მოვკიდეთ წინ და უკან ფეხებში ჯეკის ხელები და ჩავდეთ გრილ მიწაში. სულო ცოდვილო და, პატარაზე კი გავუგვერდე ცხვირი სუნს, მაგრამ უსიამო არა მიყნოსია რა. გაფშეკილ ძაღლს ღია ყავისფერ თვალებზე ასხდებოდნენ და ხელის აქნევაზე ფრინდებოდნენ მწვანედ გამჭვირვალე ბუზები მხოლოდ.

ის იყო, მიწის წაყრა უნდა დაგვეწყო, რომ არქიტექტორთა სახლის მესამე სართულიდან ქალის ხმა ჩამოგვესმა. წითელი, ფოთოლ-ფოთოლ ჩაზურმუხტებული ხალათის ცალ ღილს იკრავდა მუხლზემოთ, მეორე ხელი მკერდზე ჰქონდა მიჭერილი, — უკაცრავად კი ვარ, მარა, რას სჩადიხართო, აინტერესებდა.

— ძაღლს ვმარხავთ, ქალბატონო, ჯეკას...

— აქ რატომ მარხავთ?

— აქ მიიცვალა, — ბაადური პასუხობდა, — წესია ასეთი, სახლთან ახლო უნდა დაიმარხოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამიწაზე მილიონზე მეტი სახეობის ცხოველია.



ცხოველები სხვადასხვა ზომისა და ფორმისანი არიან. ყველაზე ძალიან მაღალია, ლოკოკინ—აპატარა, ზოგი ცხოველის დასანახად მიკროსკოპია საჭირო.

ყველაზე დიდი ცხოველი ხმელეთზე აფრიკული სპილოა. მისი სიმაღლე 3,5 მეტრია, წონა კი 6 ტონას აღწევს. მაგრამ ცისფერ

ვეშაპთან შედარებით იგი სათამაშოს მოგგონებთ. ვეშაპი 120 ტონას იწონის. სიგრძით კი 6-7 აფრიკული სპილოს ტოლია. ვეშაპი მხოლოდ ოკეანეში ცხოვრობს.

არსებობს ცხოველი ამფიბიაც, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც (მაგალითად ბაყაყი, სალამანდრა ან ტრიტონი).

სადაც გარდაიცვლება, იქო, მე მარწმუნებდა; ახლა სახლის წინო, ამტკიცებდა.

— წაიღეთ და თქვენი სახლის წინ დამარხეთ!

თუ იტყოდი, სადაც თქვენ დგახართ, ქალბატონო, სწორედ ეგაა ჩემი და ამისი სახლიო, თორემ სხვა კონტრპასუხი ქალის არგუმენტირებულ წინადადებას არ ჰქონდა. ჩემი ვარაუდი გაიზიარა ბაადურმა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მუშაობა შეწყვიტა და ბარის ტარზე დაყრდნობილდანდობილმა ადრინდელი გაიმეორა: ძაღლი, სადაც მოკვდება, იქ იმარხებაო და რამდენიმე შეგონებაც, კაცისა და პირუტყვის სიყვარულის თაობაზე, მიაყოლა ზედ. ამ ლაპარაკში სხვა აივნებზე — ზევით, ქვევით, გვერდებზე — სხვა ქალები გამოფენილიყვნენ. ვერც ერთი ბაადურისეული ვერსიის — ძაღლის იქ დამარხვის აუცილებლობის სისწორეში ვერ დარწმუნებულიყო. ერომა ისიც კი იკადრა, ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოსო.

— არავის არ მოუკლავს, ქალბატონო, — უპასუხოდ არ ტოვებდა არც ერთ შენიშვნას ბაადური, — თავად მოკვდა, გალია პატიოსნად თავისი ცხოვრება... თქვენ თუ გახსოვთ პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ... წმინდა მამების შეგონებანი...

— ამათ მამებს ბევრი იცნობთ, — გარკვევით გავიგონე, — ერთის მამა მინისტრია, მეორისა მწერალი, ესენი ვის ჰგვანან!..

სად გადავვარდნილიყავ, აღარ ვიცოდი. ბაადურის მიტოვება არ შემეძლო, გაბრუნებაც მრცხვენოდა.

ამ ყოფაში ვიყავ, როდესაც ხევიდან ამომავალი ბაგშვები დავინახე. ფერდობზე ამოდიოდნენ პატარები: გოგონები, ბიჭუნები, უფრო დიდს უფრო პატარა მოჰყვდა. ხელში ყვავილები ეჭირათ. ჩვენს მოსვლამდე ჩასულიყვნენ ყვავილების ამოსატანად. ვინც რას მისწვდენოდა, ის წამოელო. მოჰქონდათ ყვავილები მინდვრისა, კვირტები ბუჩქებისა, ყლორტები ახალნარგავებისა, ბალახიც კი. ამოვიდნენ. ამომწვანდნენ. ამოყვავილდნენ...

შვილების, შვილიშვილების, დისშვილების, ძმისშვილების, სხვათა შვილების დანახვაზე ქალები ოთახებში შეჩრდილდნენ, უხმოდ გაერიდნენ მზეს. უხმოდ ამოვავსეთ მიწით სამარე ჩვენც. პატარებმა გაამწვან-გადაანითლეს ბორცვი.

...ალბათ მას ახსოვს ლანდი კამეჩის, / იცის დუმილი და შეწუხება, / წუხელ ქარიან შუაღამეში, / ჯეკმა ვიღაცას დიდხანს უყეფა...

მე და ბაადურმა სიმღერად ავაწყვეთ იმ საღამოს გიტარაზე. რამდენიმე ცდის შემდეგ მუსიკა ტერენტის ტექსტიოურთ ბაადურმა ჩაიბარა. მთვარიანში ხანდახან, ხასიათს გააჩნია, აივანზე ზის გიტარით და წყნარად მღერის. სიმღერა ისე არ ისმის, როგორც გარხეული სიმების ჟღერა გამოდის ცხელ ქარშოშინში; გიტარას მოხუცი ძაღლიც ეხმიანება საიდანღაც ყრუდ, არაძაღლურად.

ვაჟა ყუბუსიძე

უნებლიე მაბეზღარა

ბაწაწინა ეკამ
დედას დაურეკა:
— ბეფოცები ყველასაო,
განჯინიდან გელასაო
არ უნდოდა, არაო,
რამე მოეპარაო,
სამურაბე ქილაო
თვითონ გატეხილაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მხარგრძელი

ბუტია ბატი

ბრაზობს ბატი ბუტია:
— ეს რა ბატიბუტია?
კატუნიავ, ტუუილად
მოტანტალდი მომხმარედ,
მახსოვს, გუშინ სიმინდი
უხეიროდ მოხალე.
თუმცა კატა კი ჭქვია,
ფისო ჯერაც კნუტია,
მაინც ბატმა ბუტიამ
უტია და უტია —
აღარც სიმინდი დარჩა,
აღარც ბატიბუტი აქვს.

ალექსანდრე დიდებაშვილი

ნატვრა

დედა, დედა, დედიკო
მინდა მუდამ მხნედ იყოს.
კარგი შვილი დედას
არ გაუჩენს სევდას.

დილა

მამალი მალ-მალე ყიოდა.
მზე მთაზე ამოდიოდა.
კრიალა დილა დგებოდა.
ცვარ-ნამი მოლზე
სხიოდა.

ოლეგ გველესიანი

მოდიდგულობს მდინარე

მოჩითულა კორდები
თვალხატულა ეებით...
მოდიდგულობს მდინარე —
თოვლზე შურისძიებით.

ტყეში ქარი ფოფინებს
თბილი და სასურველი,
არემარეს ედება
ვაზაფხულის სურნელი.

ეზატფარი
თამუნა ბატაფუნაშვილი

ვანო ჩხიკვაძე

კომბლე

ერთი შეხეთ, ჩვენმა კომბლემ
დაამგვანა სახლი საწყობს,
დღე და ღამე
თლის და,
თლის და,
გათლილ კომბლებს
ჭერში აწყობს.

რად ინახავს ამდენ კომბალს?
უკვირს უნნობს,
უკვირს ნაცნობს,
კომბლეს ცხვრები კიკინებენ:
– ვინც ჩვენ შეგეჭამს,
თავში ჩასცხებს!

ბალახობენ უდარდელად,
ბუჩქებში კი მოთქვამს მელა –
რა იღონოს,
ნერწყვი მოსდის,
სახელგანთქმულ ცრუპენტელას.

შეთქმული მაქვს,
სააღდგომოდ,
ერთი ცხვარი მომეციო,
თავი როგორ შეაბრალოს,
ეშინია კომბლესიო.

ცარიელი კასრით ხელში,
მობაჯბაჯებს დათვიც ხვნეშით.
მსუნაგმა და თაფლის ტკიბამ
კასრი უკვე ამოგვლიპა.

კომბლეს ცხვრები ელანდება
დღისითა და ღამითაო.
კბილს გაჰკრავდა,
მაგრამ უფრთხის
კომბლეს ჩვენი დავითაო.

ჰოდა, როცა უდარდელად,
ბალახობენ ცხვრები ველად,
დასტრიალებს მინდორს ძერა:
– ვინ გახდება კომბლეს წერა?

აი, ისიც, აღრენილი
გარეშემო
მინდორს უვლის,
ეს ხომ მგელი გუნგარაა,
მშიერი და გაქუცული.
გაიცანით, ვინც არ იცნობთ,
დაუნდობელი და ავი –
ხრა-ხრი,
ხრი-ხრა,
ხრა-ხრი,
ხრი-ხრა,
კბილებს ილესს სალესავით.

დათვმა უთხრა:
ფრთხილად, მგელო,
თორემ გადეყრები ჭირსო.
– ჩემს მზეს ვფიცავ,
კომბლეს ცხვრები,
კომბლეს ცემად თუ
არ ღირსო.

– არაფერი არ გეტკინოს,
ვიდრე ხორციით გამოგაძღო, –
ელიმება ულვაშებში,
კომბლეს კომბლე ჭერში აწყობს.

ეჰ, გუნგარავ, უშიშარო,
კბილებს ამოგამგერევს კომბლე,
ერთი გამოძღომისათვის
ლეკვუნებს ნუ დაობლებ.

არ იჯერებს:
– ჩვენი ღმერთი
მხოლოდ გამბედავებს სწყალობს,
ხორცი – მენა,
ტყავი – შენა,
კომბლემ კი კომბლები თალოს...

რაღა ბევრი გავაგრძელო,
ბუჩქებიდან, როგორც ტყვია,
გამოვარდა უცებ მგელი
და კომბლეს ცხვრებს დაერია.

დატრიალდა კომბალიც და,
– ჰი, ჰი, შეხვდა ფერი ფერსო, –
დათვს და მელას უხარიათ, –
ხომ დაბეგვეს,
ეგეც მგელსო...

რაც მოხდა, ხომ ყველამ იცით,
ბოლოს მგელი გაითაქა,
ცხვრები ისევ კომბლეს დარჩა –
„ჭირი – იქა,
ლხინი – აქა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი სალომე ჯაიჭაძე



10

1 ივნისს ანსამბლი „გვირილა“ 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღისათვის ყველაზე გულმოდგინედ „გვირილას“ უმცროსი თაობა ემზადება.

ჰაფალო ჩაზმეღო�e ციმღოფრა

კომპოზიტორი მაიკო ელოშვილი

ლექსი ტარიელ ხვიასის



2. დამ-დიმ, დიმ-დამ,
უკრავს ღოლი,
ხმალიც ავად ტრიალებს.
ზოგი ვმღერით, ზოგიც
ვცეკვავთ
და ცერებზე ვტრიალებთ.

მის: მერე მწყობრი
ნაბიჯებით
მივდივართ და მოვდივართ;
ჩვენ მშვიდობის მტრედები
ვართ,
ავის მდომნი როდი ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი მაზმიშვილი

რაღა უნდა?..

ბადა-ბუდა, ბადა-ბუდა,
ვასიკოსაც სწავლა უნდა,
ეს ფისოა, ის ყურცქვიტა,
ეს გრძელკუდა მელაკუდა
აქ კომბლეა, იქ წიქარა,
აქ ბებიას წითელქუდა,
ჰოდა, კითხვას რაღა უნდა?
ბადა-ბუდა, ბადა- ბუდა.

ოთარ შალამბერიძე

პაპისა და შვილიშვილის დავა

სოფიკო შვილიშვილია,
პაპის მზეცა და მთვარეცა,
მაგრამ ჩვენს შორის მშვიდობა
ერთმა შემთხვევამ წარეცხა:

სოფიკოს ნებავს, რომ პაპამ
სულ ფიანდაზი ვუფინო,
უხორცო წვნიანს ხელი ჰკრა, —
არ მიყვარს თქლაფათქლუფიო.

— იცოდე, გაგებუტები,
წუნია რომ ხარ, იმიტომ.
— მე კიდე ფეხსაცმლის ზონარს
აღარ შეგიკრავ დილითო.

— ძალიან კარგი, — ეპასუხობ
(თან ქუდს წიპურტით მტვერს ვაცლი).
ზონარს თუ აღარ შემიკრავ,
ეფელი უზონრო ფეხსაცმლით.

ნანა ბერიაშვილი

სანაქებო ბიჭი

ბეჯითია ზურიკელა,
ძლიერი და კუნთიანი,
აი, დდესაც ორ საგანში
მიუდია ხუთიანი.

სიხარულით ცრემლმომდგარი
გულში იერავს, ლოცავს ბებო,
ეველა დედას გაეზარდოს,
შვილი შენებრ სანაქებო.

ცხრილოიანთ მეთემეფიკა

რომანოზ დანელია
ჯემალ ჯინჯიხაძე

მხატვარი
თეა მიქაია

ხომ მოგეწონა პირველი მოგზაურობა ლალი და ინეზა მასწავლებლებთან ერთად? თქვენ მაშინ ლამაზი ამოცანები შეადგინეთ.
მოდი, ამჯერად ჩვენ ვიმოგზაუროთ!

მოგზაურობა მეორე

ჩვენი მფრინავი ხალიჩა ლამაზ ქვეყანაში მიფრინავს.

აი ისიც. აქ შემოდგომა შემოსულა, მდიდარი და ბარაქიანი შემოდგომა. რა წარმტაცად გადაჭიმულან ზვრები! ბალებიც როგორ დახუნძლულან.

ვეშვებით. ხედავ, გოგო-ბიჭები ზვარს როგორ შესევიან? ყურძენს კრეფენ. თემო და ირაკლი მოკრეფილ ყურძენს გოდრებში ყრიან, თან ღიღინებენ. დროდადრო სავსე გოდრებს ითვლიან. შეხედე, თემომ უკვე 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. ნეტა რამდენი გოდორი აავსო ორივემ ერთად?

ირაკლიმ გამომწვევად შეხედა თემოს.

— ჩემი გოდრები მეტია შენსაზე, — უთხრა ირაკლიმ.

— არა, ჩემია მეტი! — ამაყად უპასუხა თემომ.

შენ როგორ გგონია, ვისი გოდრების რაოდენობაა მეტი და რამდენით?

ჰო, მართლა, ნახე, რა კარგი ამოცანები შეგვიდგენია:

ამოცანა 1. თემომ ყურძნის მტევნებით 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. რამდენი გოდორი აავსო ორივემ ერთად?

ამოცანა 2. თემომ ყურძნის მტევნებით 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. რომელმა აავსო მეტი და რამდენით?

დაგვინახეს ბიჭებმა, ჩვენკენ მოდიან. თითა ყურძენი მოაქვთ. რა დაშაქრული მტევნებია!..

დავალება: შენც მოიფიქრე ასეთივე ამოცანები!

ახლა წავიდეთ, ხილის კრეფა ვნახოთ! გესმის, რა ჟივილ-ხივილია ხეხილის ბაღში?

ერთ ვაშლის ხეზე გიორგი და ჯემიკო ასულან. ძალიან ფრთხილად კრეფენ, მაგრამ დროდადრო მაინც გაუვარდებათ ხოლმე ხელიდან ვაშლი. ხან ერთის მოწყვეტისას ტოტი შეირხევა და მეორე ვარდება. გიორგის უკვე 6 ვაშლი ჩამოუვარდა, ჯემიკოს კი — 3-ით მეტი. რამდენი ვაშლი ჩამოუვარდა ჯემიკოს?

მოდი, ჯემიკოს კალათაში ჩავიხედოთ. მას 10 ვაშლი მოუწყვეტია, გიორგის კი — 2-ით ნაკლები. ნეტა რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

რაღაც გეღიმება. მართალი ხარ. ჩვენ ახლაც ამოცანები შევადგინეთ. აი, ისინიც:

ამოცანა 1. გიორგის ხიდან 6 ვაშლი ჩამოუვარდა, ჯემიკოს კი — 3-ით მეტი. რამდენი ვაშლი ჩამოუვარდა ხიდან ჯემიკოს?

ამოცანა 2. ჯემიკომ 10 ვაშლი მოწყვიტა, გიორგიმ კი — 2-ით ნაკლები. რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

დავალება: შენც მოიფიქრე ასეთივე ამოცანები!

გაზაფხულზე მზე ნელ-ნელა გვიახლოვდება, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის. ამიტომ დღე დიდდება, ღამე კი პატარავდება.

მზის სითბოს ახალი სიცოცხლე მოაქვს დედამიწაზე. ტყე-ველი ამწვანებას იწყებს, ფრინველები, ცხოველები და თევზები კი – გამრავლებას.

გაზაფხული ყველგან ერთ დროს როდი იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში იგი უფრო ადრე დგება, ჩრდილოეთისკენ – გვიან. აპრილში თუ ჩვენთან ყვავილობაა, რუსეთში ჯერ კიდევ თოვლი დევს. თებერვალში ჩვენთან ზამთარია, სპარსეთში კი – შუა გაზაფხული.

დედამიწაზე არის ისეთი ადგილებიც, სადაც გაზაფხული საერთოდ არ მოდის. არქტიკასა და ანტარქტიდაში წელიწადის ორი დრო – ზამთარი და ზაფხული. ზაფხულში მზე არასდროს ჩადის, ზამთარში კი – არასდროს ამოდის.

ეკვატორთან ახლოს მდებარე ადგილებშიც ორი დრო და ორგვარი ამინდია: პაპანაქება სიცხესა და გვალვას აქ წვიმების სეზონი მოსდევს.

ბაზაფხული

ძველქართულად მარტს მგრიჯა ეწ

ლია კობალაძე

რა კარგია!

ამ ხის კვირტმა თვალი ჭყიტა,
თვალი ჭყიტა იმ ხის კვირტმა,
სადედოფლო კაბა გვინდა,
სადედოფლო კაბა გვინდა!
არც დედიკოს მაკრატლითა,
არც ბებიკოს მაკრატლითა,
თბილი ცითა, მიწის ცდითა,
კაცის ნაშრომ-ნაღვაწითა,
აიჭრა და აილამბა
აბრეშუმი, ჩითი, ბამბა,
შეიკერა ატმის კაბა,
ჭერმის კაბა, ტყემლის კაბა,
უჩურჩულა იამ ნიაგს:
— რა კარგია!
— აბა, აბა!
— ტია, ტია, — თქვა ჩიტმაც და
მაქმანებში მიინაბა.

„სიცოცხლე მინ
რად, სიცოცხლე ტკ
სიცოცხლე ზღვ
წყალში, სიცოცხლე
ში. სად გაიხედავ,
დაინახო შთამომავლ
ზე ზრუნვა... ფუტკ
რა სათქმელია, ჭიანჭ
ლასაც კი აუფუთფუ



ფუტკრუა

ბარილს – აპინის მაისს – ვარდობისთვე

ბია თავისი ციხე-დარბაზი მემკვიდრეთა სიუხვით. ტრეფს ნუ იტყვი, ჭიჭავსაც კი გამოუჩეკია ოთხი-ხუთი ბარტყი... ეს სულ გაზაფხულის ბრალი, მისი ოინია“.

ვაჟა-ფშაველა

ლალი ჯაფარაშვილი

წიწკანები წვიმაში

წიწკანები წიფიან,
იწუნებენ წვიმიანს, —
მოგვეწონა შინაო,
თანაც ძლიერ გვშიაო!
ნეტავ გამოიდაროს,
ვეწვეოდით წინწაროს,
მარდები და ცქრიალები
ჩქერში შევიფრთხიალებდით,
მერე იქვე, წვაროს გვერდით,
ბროწეულზე მოვიფლხენდით...
— ცაო, გადაიწმინდე,
მზეევ, მოქარგე ცის კიდე,
წვიმავ, გადაკარე,
გულს ნუ დასწვეტ წიწკანებს!

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. ცხრა მარტს დღე ღამეს უსწორდება და გაზაფხულიც ამ რიცხვიდან დგება. ხეებზე პირველი კვირტები ჩნდება, ბალახი ამოპბინდნდება, ზამთრის ძილისგან იღვიძებს დათვი, ზღარბი და ციყვი; თბილი ქვეყნებიდან ბრუნდება მერცხალი და ბუდის აშენებას იწყებს.

მარტი გიფიაო, ჭირვეულიაო, ხომ გაგიგონია – ეს მარტის ცვალებადი ამინდის გამოა ნათქვამი: ხან წვიმს, ხან მზე გამოდის. თუ ერთდროულად წვიმს და მზეც ანათებს, ჰაერში ცისარტყელა ჩნდება.

აპრილი გაზაფხულის ჭრელაჭრელა, ნაირფერად მორთულ-მოკაზმული თვეა. ყველაზე მეტი ყვავილი ამ დროს იშლება. ნუში, ატამი, ვაშლი, კომში, მსხალი, ალუბალი, ბროწეული – თითოეული ზე განუმეორებელი ფერის ყვავილით ყვავის, გაზაფხულს უკვე სუნით კი არა, ფერით შეიგრძნობ. აპრილში წვიმაც კი თბილია, მზე უფრო უხვად აფრქვევს თავის მადლიან სხივებს დედამიწას.

მაისში სითბო რაღა მოსატანია, უკვე ცხელა კიდეც. ამ დროს პირველი ხილის დაგემოვნებაც შეიძლება. ხეზე დაკრეფილ ნაადრევ ხილზე გემრიელი ხომ არაფერია. ბალში ნაირფერი ვარდები ჰყვავიან. ამიტომ ძველად ამ თვეს ვარდობისთვე ერქვა. მაისის ბოლო რიცხვებს თქვენთვის არადეგების მოლოდინიც ალამაზებს – წინ ცხელი, ლაღი და მზიარული ზაფხულია.

გილოცავთ დაბადების დღეს

ცოტნე აბულაძე, ანა არევაძე, სანდრო გადელია, მარიამ
და რეზიკო გოდაბრელიძეები, ნატალი კობიაშვილი, თიკო
კოპაძე, მაიკო მარსაჯიშვილი, რატი და თენგო მეზვრიშვი-
ლები, მარი მესხი, თამთა და თეონა მიქაიები, ბუბა მოლა-
შვილი, სოფიკო ნიკოლაიშვილი, თაკო სამ-
ხარაძე, ანა ფხალაძე, დათუნა და პაპუნა
ქელბაქიანები, თათია წიკლაური,
ნია ჭილაშვილი, ბექა ჩიჩუა,
გიორგი ხაბეიშვილი



ჩაწერილი ფოლკლორული მასალა

ჩემი თეთრი ხმიადა,
გორაზედ ჩამოგორავდა
(ფამფალ)

ხარი ორმოს ჩამივარდა
კუდით ვეზიდებოდიო.
(ფიფიწა)

ე ჩემი ცხენი სოსანიო
გიორგი-დედის სტუმარი
ჭაობში ფეხი ჩამიცა,
წყალი დამიშრო მდინარი
(ფეფ)

ჭაკნი-ჭუკნი წაიკიდნენ
ჭაკნი-ჭუკნის კარზედაო
ჭაკმა დაპკრა თავშიაო,
გამოაგდო კარშიაო.
(ეაშრ ბრ ბიიდშეეა)

მოქმელი
ბაბალე წიკლაური, 83 წლ
1998 წელი, 2 აგვისტო.
ჩამწერი
მარიამ დიაკონიძე
10 წლის, სკოლა „ლაშარ

იძნებ ასეთი ფოლკლორული მასალები ამ ზაფხულს თქვენც შეაგროვოთ!

მხატვარი ნანა მელქაძე

ისლა დაგვრჩენია...

თევდორე გოგოლაძე

„დილის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ნორჩი მკითხველის წერილი რედაქციისადმი. ჩვენი პატარა მეგობარი „დილას“ სახლის აშენებას ჰპირდებოდა. რა უნდა იყოს რედაქციისათვის უფრო სასიხარულო, ვიდრე მკითხველის ესოდენი სიყვარული და თანადგომა?

ახლახანს „დილის“ რედაქციაში მივიღეთ ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლის თევდორე გოგოლაძის ნახატი — „სკოლა დამეწვა“, — რომელმაც დიდი ტკივილი და მწუხარება განგვაცდევინა.

პატარა თევდორეს სკოლა უსახსრობის გამო დღემდე აღუდგენელია. ვინ უწყის, როდის გამოჩნდება კეთილი ჯადოქარი, ჯადოსნური კვერთხი რომ აიქნიოს და ერთ მშვენიერ დილას თევდორეს თავისი სკოლა აშენებული და გალამაზებული დაახვედროს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, თევდორე და მისი თანასკოლელები მარტო სიტყვით გავამხნეოთ, რადგან სიტყვაა ყველა დიდი თუ მცირე საქმის დასაწყისი.

ნოდარ დუმბაძის სახ. საერო სკოლის V კლ. მოსწავლე ნათია ჭიკაძე

წყლის წვეთი

მე სულ ახლახან გაჩენილი პაწია
წყლის წვეთი ვარ. იცით, სად
გავჩნდი? — ერთი მრავალსართუ
ლიანი სახლის სახურავზე რომ
ყინულის ლოლუაა, ამ დილით მზე
გაათბო და სიხარულის ცრემლ
მოსწყვიტა. სწორედ ყინულის
ლოლუას ცრემლი ვარ. — პაწია
წყლის წვეთი, თავბრუდამხვევ
სისწრაფით რომ მიეჭრი მიწისაკენ
ჩემი დაბადების ამბავი კი
ვიცი, მაგრამ ნეტავ რა
მელის იქ, დაბლა, მიწას-

ბერიკაცი ქუჩის კუთხეში

ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. ერთხელ ქმარი ტყუილუბრალოდ დაიჭირეს, მკვლელობა დააბრალეს.

გავიდა დიდი ხანი. ქმარი დაბრუნდა ციხიდან, ცოლი გარდაცვლილი დახვდა. კაცი უკვე დაინვალიდებული იყო. ციხეში ის დაავადდა და მუშაობა აღარ შეეძლო, ამიტომ ნელ-ნელა ყველაფერი გაყიდა. ბოლოს დარჩა მარტო ბეჭედი, რომელიც ამ ბერიკაცმა თავის ცოლს აჩუქა. არ უნდოდა მისი გაყიდვა, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა. გავიდა ქუჩის კუთხეში, დადგა ჩუმად და გამვლელებს სთხოვდა, ეყიდათ ბეჭედი. თან ცრემლები ჩამოსდიოდა. ერთმა კაცმა ხელში ფული ჩაუდო. ბერიკაცს ეგონა, ბეჭედს ყიდულობსო, მაგრამ იმ კაცს ისე შეეცოდა, რომ ბეჭედი არ გამოართვა. ბერიკაცს ძალიან გაუხარდა. სხვა გამვლელებმაც მისცეს ფული. ბოლოს ერთმა კაცმა ბეჭედი იყიდა. მოხუცს ჯერ გაუხარდა, მაგრამ, რომ დაფიქრდა, ეწყინა, გული დასწყდა, რომ ბეჭედი გაყიდა. მას წარსულის გასახსენებლად მხოლოდ ეს ბეჭედი ჰქონდა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის არასახელმწიფო საერო სკოლის V კლასის მოსწავლე
გვანცა გედუკაძე

ბიჭი და მარტორქა

იყო ერთი ბიჭი და მარტორქა. ბიჭი ადამიანია, მარტორქა კი — ცხოველი. შეაჯდა ეს ბიჭი მარტორქას ზურგზე. ღამე იყო და მარტორქას თვალები ანათებდა. უცებ მონადირე გამოჩნდა და ბიჭს ჰკითხა: აქ რას აკეთებო? ბიჭმა მიუგო: მე და მარტორქა მეგობრები ვართ და ვსეირნობთო.

მერე უცებ გველეშაპი და დინოზავრი გამოჩნდნენ და ბიჭი და მარტორქა გადაყლაპეს. ეს რომ მონადირემ დაინახა, გადმოიღო თოფი და ორივეს ესროლა. მერე ჯიბიდან ამოიღო დიდი დანა, ორივეს მუცელი გაუჭრა და იქიდან ბიჭი და მარტორქა ამოიყვანა.

გიორგი ჯინჯიხაძე, 3 წლის

მამა

ერთი ტკივილი მაქვს,
ერთი სადარდელი,
ძნელია უმამოდ ყოფნა.

მოდი, რა იქნება,
მოდი, ჩაგეხუტო,
ჩემო საყვარელო მამა!

ღვთისმშობელი

მარიამის ხელები
დედის ხელებს მაგონებს,
სადაც უნდა წავიდე,
ყველგან ლოცვას მაყოლებს.

თეონა მირზაშვილი
11 წლის, სოფელი ჩაილური.

ნათია კობერიძე

ლუკა მაჭავარიანი

65-ე საშ. სკოლა

გიორგი იორაიშვილი
მასალა: ბრინჯი, წებო და საღებავები

სკოლა „ქაი ყმა“

ხულოს ხუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზია

„ვერც ჩვენი პატარა გიმნაზიელები და ვერც ჩვენ, მასწავლებლები, ვერ დავივიწყებთ და მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად გაგვყვება თქვენს რედაქციაში სტუმრობა, საბავშვო მწერლებთან, ჟურნალ „დილის“ რედაქტორთან და რედაქციის თანამშრომლებთან შეხვედრა, სიყვარულითა და სითბოთი სავსე ერთი მშვენიერი დღე“.

ეს წერილი ხულოს აბუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზიის მასწავლებელმა ირინარქი კვირკველიამ მოგვწერა. გიმნაზია 1997 წელს დაარსდა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და დეკანოზ მირიან სამხარაძის უშუალო ხელმძღვანელობით. ორი წელია მისი მოსწავლეები ჟურნალ „დილის“ ყველა ნომერს რედაქციისაგან საჩუქრად იღებენ. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მეგობრობას. წელს ხულოელი პატარები თბილისში ჩამოვიდნენ, ჩვენც გვეწვივნენ და რედაქციაში პატარა კონცერტიც გამართეს. გიმნაზიაში მუშაობს ხალხურ საკრავთა, ხატვის, ქორეოგრაფიული, გუნდური სიმღერის წრეები. ბავშვები სხვა საგნებთან ერთად მეტყველების კულტურასაც სწავლობენ. ყველამ კარგად ვიცით მთის მკაცრი პირობები. ამიტომ ხულოს აბუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზიას დიდი საგანმანათლებლო მისია აკისრია. იგი ხელს უწყობს მომავალი თაობის ჭეშმარიტი რწმენით აღზრდა-განათლების საქმეს.

როდის წარმოიშვა ქართული სახელმწიფო

სამშობლოს ისტორიის არმცოდნე ადამიანი იგივეა, რაც უსამშობლო კაცი. ყმაწვილმა თავისი ქვეყნის ისტორია ნელ-ნელა, დედაენასთან ერთად უნდა ისწავლოს. ამიტომ თქვენმა საყვარელმა ჟურნალმა გადაწყვიტა მოგაწოდოთ მოკლე ლექციები საქართველოს ისტორიაში. ლექციებს წარუძღვება პროფესორი გურამ ყორანაშვილი.

ჯერ კიდევ კომუნისტური წყობილების ბოლო წლებში ფიქრობდნენ, აღენიშნათ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის თარიღი – 1000 წელი. საბედნიეროდ, მაშინ ხელისუფალთა ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ახლა, როცა საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებლობის გზაზე, დღევანდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა აღვნიშნოთ პირველი ქართული სახელმწიფოს გაჩენის თარიღი. მაგრამ ამჯერად მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ზოგის აზრით, პირველი ქართული სახელმწიფო წარმოიშვა არგონავტების ეპოქის კოლხეთში, ე.ი. 3300-3500 წლის წინათ, ბევრი მეცნიერი კი ფიქრობს, რომ ეს მოხდა 500 წლის შემდეგ ჭოროხის აუზში (უფრო ზუსტად, მის შუა და ქვემო წელზე). ზოგიერთის ვარაუდით, ქართული სახელმწიფო დაარსდა 2500 წლის წინათ, ზოგი კი შესაბამის თარიღად 2300 წელს თვლის.

მაინც, როდის გაჩნდა პირველი ქართული სახელმწიფო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, როგორ იმართებოდა საზოგადოება სახელმწიფოს წარმოშობამდე.

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანები პირველყოფილ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. დაახლოებით 30-40 ათასი წლის წინათ წარმოიქმნა გვაროვნული წესწყობილება. ცხადია, ის ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო. გვარში ცხოვრობდნენ სისხლისმიერი ნათესაობით გაერთიანებული წევრები. სულ მცირე ორი გვარი ტომს შეადგენდა.

შემდეგში, ნეოლითის პერიოდში, როდესაც მიწათმოქმედება და მეცხოველეობა განვითარდა, განსაზღვრულ ტერიტორიაზე გვარების რაოდენობამ იმატა. გაიზარდა ტომის შემადგენლობაც. მოგვიანებით გაჩნდა ტომთა გაერთიანებანიც. ამ დროისათვის ჩნდება მონობა, ანუ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის პირველი ფორმა. ამდენად, საზოგადოებაში თავი იჩინა უთანასწორობამ, რაც გაღრმავდა ომიანობის გახშირებით. პარალელურად საზოგადოების ერთი ნაწილისთვის უმთავრესად სწორედ სამხედრო საქმიანობა იქცა. ჩვენი წინაპრები ამგვარ ისტორიულ საფეხურზე უკვე ძვ.წ. III-II ათასწლეულებში მაინც იდგნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ახლა კი პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: რა არის სახელმწიფო? სახელმწიფოს ნიშან-თვისებები ასეთია: 1.მოსახლეობა უკვე დასახლებულია არა გვარებად, სისხლისმიერი ნათესაობის პრინციპით, არამედ – ტერიტორიის მიხედვით, სადაც სხვადასხვა გვარის ადამიანები ცხოვრობენ; 2.ჩნდება იძულების აპარატზე დაყრდნობილი საზოგადოების მმართველი ფენა, რომლის სათავეში მეფე დგას; 3.ამ ფენის შესანახად, რა თქმა უნდა, გარკვეული მატერიალური სახსრებია საჭირო, რისთვისაც აუცილებელია მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა.

მიუთითებენ, რომ ეს მოვლენები მოხდა ძვ.წ. II ათასწლეულში, I ათასწლეულის დამდეგს ან მის შუა პერიოდში. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სახელმწიფო პირველად ძვ.წ.IV საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და მოცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს.

ასე რომ, შესაბამის საიუბილეო თარიღად 2300 წელი უნდა მივიჩნიოთ.



მხატვარი დათო თოთიბაძე

კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონი

დირექტორი
ნინო ჩიკვაიძე

თბილისში შვიდი წელია არსებობს ქალთა და ვაჟთა პანსიონი, სადაც დღეს 194 მოსწავლე სწავლობს და, შეიძლება ითქვას, ცხოვრობს კიდეც – აქ სასწავლო დღე 9 სთ-და საღამოს 7 სთ-მდე გრძელდება. გოგონების და ვაჟების კლასები განცალკევებულია, ზოგიერთ საგანში მათთვის პროგრამაც განსხვავებულია, მაგრამ ისინი ერთად დადიან ექსკურსიებზე, მონაწილეობენ სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში, ერთად სადილობენ, ერთად თამაშობენ...

პანსიონში სავალდებულო საგნები გაღრმავებული პროგრამით ისწავლება. გარდა ამისა, ბავშვები ვარჯიშობენ რაგბისა და ფეხბურთში, თამაშობენ ჭადრაკს, ცეკვავენ, მღერიან, ხატავენ, ქარგავენ, სწავლობენ ეთიკას, უცხო ენებს (რუსულს, ინგლისურს, იაპონურს), მენტორების დახმარებით ამზადებენ მომავალი დღის გაკვეთილებს.

პანსიონი მეგობრობს სკანდინავიის ქვეყნებში საუკეთესოდ მიჩნეულ შვედეთის სიქტურას პანსიონთან, ტოკიოს ოტა-შიოზენის სკოლასთან, ბავშვები ელექტრონული ფოსტის საშუალებით წერილებს უგზავნიან იაპონელ თანატოლებს. პანსიონის I-III კლასის მოსწავლეებმა იაპონურ ენაზე სპექტაკლიც კი დადგეს და იაპონური სიმღერებიც შესანიშნავად შეასრულეს.

მომავალი წლიდან პანსიონთან გაიხსნება მოსამზადებელი ჯგუფები. აქ პატარებს მოამზადებენ პანსიონის საკმაოდ რთული სასწავლო პროგრამის ასათვისებლად.

მისამართი: 380054 ქ. თბილისი,
ქუთაისის ქ. №20
ტელ.: 34-87-25, 8 99 519 004
ელ-ფოსტა: mthiebi@caucasus.net

მედეა ბლიაძე

ბამოცანა

ხან ბურთია, მრგვალი ბურთი,
ხან — უტარო ნამგალი.
ცაა მისი მოედანი,
ცაა მისი ნამკალი.

ციდან ღამით ხან გვინათებს,
ხანაც არის ჩამქრალი.
შენ თუ ჯამბაზი გგონია,
არ იქნები მართალი.

(ლაზდ)

დოდო ხანთაძე-იაშვილი

კეთილი დაიკო

მე ხომ შენზე უფროსი ვარ?
უნდა გავხდე ეძღვნის მალე...
რატომ ცელქობ? რად მაბრაზებ?
ნუ მატირებ, გენაცვალე.
ალბათ, ხედავ,
რამდენს გითმენ,
რამდენ ჩხუბში გაგეცალე.
შენი ცუდი საქციელი
ბევრჯერ არ ვთქვი,
ბევრჯერ ვმალე.
ამნაირი უოფაქცევა
არ შეგშვენის, გენაცვალე.
გამოსწორდი, თორემ ვშიშობ,
არ გადიქცე ბიჭად მალე.

მთვარისა ქერესელიძე

ბაჭიას სიმღერა

აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო,
ჯერ მზის სხივიც არ მიხახავს,
ჩირგვში ვხიკარ ბაწიაო.
დედამ ქურქი შემიკერა,
აჭი-გაჭით მაცვიაო,
აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო.
ეურცანცარა ნაცარებო,
ცოტა კიდევ მაცალეთო,
სულ ორ დღეში მოლიანზე
როგორ გავიცანცარებო...
აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო!

მაკა მიქელაძე

ოკრობოკრო

ოკრობოკრო, ოკრობოკრო,
ტყეში არის ბევრი სოკო.
ოჰო-ჰოჰო, ოჰო-ჰოჰო,
მიტომ გარბის ტყეში კოკო.
თან ასწავლის ციცქნა ნიას,
ციდა ნიას ნაწნავიანს:
— ნია, ჩემო ბაწიაო, ერთი ბეწო დაიაო,
შენ რომ სოკო გეგონაო, არის ჭიამაიაო.
აზლუქუნდა ცქნაფა ნია,
წრიბა ნია-გოგონია,
ცრემლი სცვივა ოკრობოკრო,
ოჰო-ჰოჰო, ოჰო-ჰოჰო,
— მაიასი რატომ ჰქვია?!
ჩემი არის, ნიას ჭია!

მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

ტოპ-მოდელის სიურპრიზები

საგაზაფხულოდ „დილის“ ტოპ-მოდელმა, პატარა ნია წივწივაძემ სიურპრიზები შემოგვთავაზა; მოდების სამყაროში თუ სამზარეულოში მოპოვებული წარმატებების შემდეგ მან მხატვრობაში მოსინჯა ძალა და აქაც ისახელა თავი. ნიას ნამუშევრებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. პროფესიონალებმა ამ ნახატებში ხალასი ნიჭი, გემოვნება და იუმორი დაინახეს. ვნახოთ, კიდევ რით გაგვახარებს ჩვენი ტოპ-მოდელი მომავალში.



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის ნიამ სააღდგომო სუფრის გალამაზებაზეც იზრუნა. ლანგარზე ამოსულ ჯეჯილში ჩაწყობილი წითელი კვერცხებით შეგიძლიათ სუფრაც დაამშვენოთ და სტუმრების წინაშე თავიც მოიწონოთ.

მომზადების წესი: ლანგარზე 2-3 სანტიმეტრის სისქის, წყალში დასველებული ბამბა დააფინეთ და ზედ ხორბლის მარცვლები თანაბრად დაყარეთ. ყოველ მეორე დღეს დანამეთ. ათ დღეში ლანგარზე მწვანე ჯეჯილი ამობიბინდება. სააღდგომოდ ამ ჯეჯილში წითელი კვერცხები ჩააწყვეთ.

სალომე ომიაძე

ჭეშმარიტად!

ხუთი წლისაც ჯერ არ არის,
გაგვახარა დღეს მარიტამ,
რომ ვუთხართ: „ქრისტე აღსდგა!“
გვიპასუხა: „ჭეშმარიტად!“

საღვთო კვერცხი

ისე მიეკარს ეხდროთი
შეღებილი კვერცხები,
ვამტვრევ, ვამტრევ,
ვჭამ და ვჭამ,
ვერ ეძღები და ვერ ეძღები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ამ ნახატზე სიმაღლეზე ხტომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ანტილოპა, ადამიანი, პინგვინი, პუმა, დელფინი და კენგურუ. შეაფასეთ მონაწილეთა შესაძლებლობები და ცხრილში ყველას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინეთ.

ანაგრამა

(ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ)

ასოებისგან, რომლებსაც მოცემული სიტყვა შეიცავს, უნდა შეადგინო იმავე ბგერითი რაოდენობის, მაგრამ სხვა შინაარსის სიტყვა. თითოეული ასო მხოლოდ ერთხელ შეგიძლია გამოიყენო.

მიწა — წამი

კვირა — ------, -----

ლობიო — ------

ტონა — ----

კანჭი — -----

რიცხვი — -------

სილა — ----

ტირე — ----

თამაში — ------

მხატვარი თეა მიქაია

ტერიტორიის გეგმა

ტერიტორიაზე გაავლეთ საზღვარი ისე, რომ ლევანს და ანას თანაბარი რაოდენობის ბურთები, დათუნიები და ჩიკორები შეხვდეთ.



TOM and JERRY

ჩვენო პატარა მეგობარო, ვიცით, რომ შენ და შენს თანატოლებს ძალიან გიყვართ მულტფილმები, თქვენი საყვარელი მულტიპლიკაციური პერსონაჟებიც გყავთ და გინდათ ყველაფერი იცოდეთ მათ შესახებ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ გიამბოთ ყველაფერი ტომზე და ჯერიზე, ფიფქიასა და შვიდ ჯუჯაზე, კატა ლეოპოლდზე, ალადინზე და სხვებზე.

მოდი, ამჯერად ცოტა შორიდან დავიწყოთ...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანის ცხოვრებაში ბევრი ტექნიკური სიახლე შემოვიდა, მათ შორის კინემატოგრაფიც. მისი დაბადების თარიღად 1896 წელია მიჩნეული, როცა ძმებმა ლუმიერებმა პარიზში, კაუცინების ბულვარზე პირველად აჩვენეს მათ მიერ გამოგონებული აპარატით გადაღებული „მოძრავი სურათები“. პრემიერა სკანდალური აღმოჩნდა: როცა ეკრანზე ორთქლმავალი ამოძრავდა, მაყურებელს მოეჩვენა, რომ ეს „გაცოცხლებული“ უზარმაზარი მანქანა პირდაპირ დარბაზისკენ მოდიოდა და იქ მყოფი კარგ დღეს არ დააყრიდა. შეშინებული ხალხი წივილ-კივლით გარბოდა დარბაზიდან. მოძრაობის საიდუმლო ძალიან უბრალო იყო: ლუმიერების აპარატი ფირზე დაფიქსირებულ სურათებს სწრაფად აჩვენებდა, მომდევნო კადრი მანამდე ჩნდებოდა, სანამ წინა მხედველობის არიდან გაქრებოდა – ეკრანზე კი ჩანდა, რომ ორთქლმავალი ჯიქურ მოიწევდა მაყურებლისკენ.



ძმები ლუმიერების აპარატს კინემატოგრაფი უწოდეს (ბერძნულიდან: კინემა – მოძრაობა, გრაფო – წერა), ხოლო თავად მომრავ სურათებს – კინო.

მულტიპლიკაცია ლათინური სიტყვაა და გამრავლებას ნიშნავს. კინოხელოვნების ამ დარგს საფუძველად კარიკატურა და კომიქსები დაედო. პირველი მულტფილმი მე-20 საუკუნის ათიან წლებში გაჩნდა. ნახატი მულტიპლიკაციის ფუძემდებლად თვლები ფრანგი მხატვარი-კარიკატურისტი ედვარდ კოლი. 1908 წელს პარიზში აჩვენს მისი ნახატი ფილმი „ფანტასმაგორია“, რომელშიც კოლმა მულტიპლიკაციური (კადრობრივი) გადაღების გამოყენებით „გაცოცხლა“ (აამოძრავა) თავისი ნახატი მოთხრობის პერსონაჟები. იმისათვის, რომ ნახატმა ამოძრაოს, თითოეული მოძრაობის შესატყვისი რამდენიმე ათეული ნახატი უნდა დაიხატოს. შემდეგ ამ ნახატებს თანმიმდევრობით გადაიღებენ ფირზე.. ათწუთიანი მულტფილმისთვის საშუალოდ თხუთმეტი ათასი ნახატია საჭირო, წამში 24 ნახატი. როგორც ხედავ, მულტფილმის „ეთერი“ ძნელი და შრომატევადი სამუშაოა.

ნახატი მულტიპლიკაციური ფილმების გარდა, არსებობს თოჯინური ფილმებიც. ბოლო ხანს ეკრანზე კომპიუტერით შექმნილი სურათებიც გამოჩნდა.

ალბათ, გაგიგია უოლტ დისნეის სახელი. იგი მულტიპლიკაციის ისტორიაში ძალიან ცნობილი კაცი იყო. სწორედ მან შექმნა „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (1938 წ.), „ბემბი“ (1942), „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ (1951), „ძმინარე მზეთუნახავი“ (1958), დონალდ დაკის სერიალი... ისიც იცი, რომ არსებობს ქალაქი „დისნეილენდი“. მას სახელი უოლტ დისნეის პატივსაცემად უწოდეს. დისნეილენდში მხოლოდ ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპრების პერსონაჟები ცხოვრობენ და იქ უამრავი ატრაქციონი და გასართობია.

ჩვენი დღევანდელი სტუმრები ტომი და ჯერი კინოკომპანია „მეტრო გოლდვინ მაიერში“ „გაჩნდნენ“. 1940 წლის თებერვალში კინოეკრანებზე გამოჩნდა პირველი ფილმი ტომის მონაწილეობით. მას შემდეგ ყოველ წელიწადს იქმნებოდა ახალი სერიები, რომლებიც მიამტები ფისოს და ონავარი თაგუნას ფათერაკებიან ურთიერთობაზე მოგვითხრობდა. მარტო 1940-1958 წლებში ასზე მეტი სერია გადაიღეს. ამ პერიოდში „ტომმ და ჯერიმ“ შვიდჯერ მოიპოვა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო „ოსკარი“ და კიდევ ექვსჯერ წარადგინეს ამ ჯილდოზე. არასდროს არც ერთ მულტფილმს (თვით დისნეის მულტფილმებსაც კი) ასეთი წარმატება არ მოუპოვებია.

პირველ ფილმში („ფისუნიას მოხვდა ჩექმა“) მხოლოდ კატა მონაწილეობდა და მას ტომი კი არა, ჯასპერი ერქვა. მეორე სერიიდან გამოჩნდა ჯერი, ჯასპერი კი ტომად იქცა. თავდაპირველად ტომი აყლაყუდა და თმაგაბურძგნილი კატა იყო, ჯერის პატარა ყურები და დიდი ცხვირი ჰქონდა. დროთა განმავლობაში ტომი დამოკლდა, ცოტა დამრგვალდა, ბეწვიც დაივარცხნა და ცივილიზებულ კატას დაემსგავსა. ჯერიც დაიზვეწა და ისეთი გახდა, როგორსაც დღეს ვხედავთ, მხოლოდ ზასითი არ შეუცვლია: ახლაც ისე აბრაზებს ტომის, როგორც ორმოცდან წლებში.

პარიპატეტა – *ნახატი, რომელზედაც ვინმე ან რამე სასაცილოდ არის გამოსახული, კარიკატურისტი – კარიკატურის მხატვარი.*

კომიქსი – *მომცრო წიგნი. შეიცავს ნახატების სერიას მოკლე წარწერებით, რომელთაგანაც გამოდის გაბმული თხრობა.*

მასალა მოამზადა **ირმა ლიპარტელიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაფერადოთ ცოცხალი ბუნების ძალებით

1) ცისფერი, 2) წითელი, 3) ყვითელი, 4) ვარდისფერი,
5) ლურჯი, 6) სტაფილოსფერი, 7) ნაცრისფერი, 8) მწვანე, 9) ყავისფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია თავის პატარა, და არამარტო პატარა, მკითხველებს აცნობებს, რომ ჟურნალ „დილის“ დამატება „აი ია“ ჯერჯერობით არ გამოსულა. ამჟამად გამომავალი „აი ია“ კერძო გამოცემაა და საერთო არაფერი აქვს ჟურნალ „დილასთან“.

ყურადღება მოგება!

„დილის“ ამ ნომერში კვლავ თამაშდება საიდუმლო ლატარია. მოგებიანი ნომრები, რომლისთვისაც დაწესებულია 200 პრიზი, გამოცხადდება „დილის“ შემდეგ ნომერში.

ძვირფასო ბავშვებო!

ვიდეოსტუდია „ალემარი“ გთავაზობთ მულტიპლიკაციურ ფილმებს ქართულ ენაზე, ლიცენზირებულ კასეტებზე, ასევე ფილმებს ორიგინალის ენაზე (ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ა.შ.).

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 93-56-15.

გამოფენა!

საგაზაფხულოდ რედაქცია აწყობს ბავშვთა ნახატების გამოფენას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები. თითოეული სკოლა წარმოდგენილი იქნება 5-6 ნამუშევრით.

მონაწილეობის მილების მსურველებს ვთხოვთ ნახატები მოგვიტანონ რედაქციაში ა. წ. 10 აპრილამდე.

დაგვირეკეთ: 93-10-32

გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“

2000 დილა

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, თეა მიქაია, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი

ყდაზე ნახატი: ბიორბი ნაჩანიძისა

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30; გამოდის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი ხელმომწერთათვის 2 ლარი

F343
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდერი

№2. მარტი-აპრილი. 2001 წ.

ძმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?

ყველაზე პატარა ჩიტია კოლიბრი. მისი სიგრძე სულ 5 სანტიმეტრია. ყველაზე დიდი ფრინველი სარაქლემაა. მისი სიმაღლე 2,5 მეტრია.

შენიშვნა: სარაქლემა ვერ დაფრინავს, მაგრამ ძალიან სწრაფად დარბის. შესაბამისად, მას სუსტი ფრთები და ძლიერი, ჩლიქებიანი ფეხები აქვს.

ხოხობს თავისი ბუმბულის წყალობით, შეუძლია მტერს ბალაბში დაეშალოს, თოთიყუშები კი შორდებიან შეიმჩნევიან ჭრელი სამოსით.

პინგვინი ისეთი ფრინველია, რომელიც ვერ დაფრინავს. მას არც ბუმბული აქვს. სამაგიეროდ ფეხებზე, თითებს შორის გაბმული აპკის დახმარებით ეხი

შესანიშნავად დაცურავს. პინგვინს ფრთებიც აქვს, რომელსაც მხოლოდ ცურვის დროს იყენებს.



თულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის დირექტორს ქალბატონ მანანა ტარიელაშვილს და ქალბატონ რუსუდან ძაგნიძე-გოგობერიძეს იმ სიკეთისათვის, რაც ჩვენი ჟურნალის მიმართ გამოიჩინეს. ასევე უღრმეს მადლობას ვწირავთ ქალბატონ **მაია ნიკოლაძე-ზოდელავას,** რომლის შემწეობითაც ქალაქის მერიიდან 300 ლარი გადმოირიცხა. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ იმ ქალბატონებს, რომლებმაც საყმაწვილო ჟურნალის გასაჭირი გულთან კი მიიტანეს, მაგრამ დღევანდელი შეჭირვებული მდგომარეობის გამო ჩვენი დახმარება ვერ შეძლეს!

მანანა ტარიელაშვილი (200 ლ.)

რუსუდან ძაგნიძე-გოგობერიძეს (200 ლ)

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

გაზაფხული მოვიდა

– გაზაფხული მოვიდა, გაიღვიძეთ! – დაჭახჭახა საიდანღაც მოფრენილმა შაშვმა და კუნელის კენწეროზე დასკუბდა.

– შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარი! – მიაძახეს შაშვს აქეთ-იქიდან ფრინველებმა და მხიარულად აყივყივდნენ.

– იცოცხლე და იმრავლე, მახარობელო! – აზუზუნდნენ მწერები, აფარფატდნენ ჭრელ-ჭრელი პეპლები, გაიღვიძეს მინდვრის ყვავილებმა, თავი ააშვეს ნაკადულებმა და მიყრუებული ღელეები აახმიანეს.

– რაო, რაო? გაზაფხული მოვიდაო? – იკითხა კუნელის ძირას წათვლემილმა ყოჩივარდამ და თვალი გამოაჭყიტა. ღმერთო, ირგვლივ ბნელოდა, არაფერი ჩანდა.

ყოჩივარდამ მუხლის გამართვა სცადა, მაგრამ გაუჭირდა. თავზე შარშანდელი, ჟანგისფერი მუხის ფოთოლი საბანივით გადაჰფარებოდა, ზევით არ უშვებდა.

ყოჩივარდამ ძალ-ღონე მოიკრიბა. აიწია, აიწია და მუხის ფოთოლიც დაიძრა, ჯერ გვერდზე გაცოცდა, მერე გადავარდა.

– მუხის ფოთოლი ყოფილა. ნეტავი საიდან მოჩერჩეტდა, კინაღამ გამგუდა და სიცოცხლეს გამომასალმა! – შესძახა გაგულისებულმა ყოჩივარდამ და მუხლი გამართა, მელანივით ლურჯი თვალებით კამკამა ცას შეხედა. მზე საამურად ანათებდა, ბუნება გაზაფხულის მობრძანებას ზეიმობდა.

ყოჩივარდას ნათქვამმა გული ატკინა მუხის ფოთოლს. ის ხომ მთელი ზამთარი საბანივით ზედ ეფარა, უფრთხილდებოდა, რომ ყინვას არ დაეზრო, ქარს არ ამოეთხარა მიწიდან, ყოჩივარდამ კი რა თქვა: საიდან მოჩერჩეტდაო.

– სწორედ ეგ არის სიკეთის დაუნახაობა! – ნაღვლიანად აშრიალდა მუხის ფოთოლი და ღამით დადენილი ცის ნამი ცრემლებად ექცა.

კუნელის კენწეროზე წამოსკუპებული შაშვი კი ჭახჭახებდა და ჭახჭახებდა:

– გაზაფხული მოვიდა, გაიღვიძეთ!

ფანტაზია
მალხაზ კუხაშვილი

ზურაბ კუხიანიძე

ქეთინო და დედოფალა

25%-იანი ფასდაკლება

„დილის“ ენციკლოპედია

ძვირფასო მეგობარო!

თუ გსურთ შეიძინოთ ძვირფასი საჩუქარი თქვენი და თქვენი ახლობლების შვილებისთვის, ყურადღება მიაქციეთ ამ ბარათს!

ვიწყებთ **„დილის“ ენციკლოპედიის** გამოცემას, რომელიც ბავშვებს ლაკონურ, მარტივ და მათთვის გასაგებ ენაზე მიაწვდის საინტერესო მასალებს კულტურის, რელიგიის, ეთნიკის, ისტორიის, ლიტერატურის, მედიცინისა თუ მეცნიერების სხვა დარგების შესახებ. შინაარსობრივად მრავალფეროვანი და მდიდრულად ილუსტრირებული „დილის“ ენციკლოპედია ევროსტანდარტების დონეზე დასრულებული.

ეს იქნება თქვენი შვილებისა და შემდგომი თაობების უბრალესი გზამკვლევი და სამაგიდო წიგნი, წიგნი-საგანძური.

„დილის“ ენციკლოპედია პერიოდული გამოცემაა.

პირველი წიგნი გამოვა 2001 წლის ბოლოს.

„დილის“ ხელმომწერებისთვის გათვალისწინებულია 25%-იანი ფასდაკლება.

...ის ბურთი

...ს,
უცნაურად ელვარე;
ბურთზე ნახავ ალმების თუ
კავკასიის მწვერვალებს,

ევროპას და ამერიკას,
აფრიკას და აზიას.
ეველა ამას გაიძახის:
— დედა, რა ლამაზია!

gbi
dzmiZe

მაგრამ გაბი არ ერევა
იმათ დავა-კამათში,
ფიქრობს: „არ გამიგონია
დედამიწით თამაში“.

ზარმაცი გოჩა

— მზე ჰირს იბანს, — უთხრეს გოჩას,
გოჩა უნდოდ გაიბადრა:
— დედა არ ჭვავს, ალბათ, თორემ,
თავად რატომ დაიბანდა?

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ზურაბ კუხიანიძე

ქეთინო და დედოფალა

ჩემი ქეთინო ლამაზა,
სანამ ეწვევა ძილია,
მოიწვევს დედოფალასა,
იძახის: „ჩემი შვილია!“
მე ვეუბნები:
— ქეთინო,
ჩემო კარგო და კეთილო,
ეგ შენი ტკბილი ჟღურტული
მინდა, რომ შეგაწყვეტინო.
მიწას ახნიხარ ბალახად,
დიდ გზაზე ჯერ არ გივლია,
შენ თვითონ დედოფალა ხარ
და რა დროს შენი შვილია.

* * *

ქეთუნიას უყვარს ტკბილი,
ნაყინი და სნიკერსები,
რამდენჯერაც გაიღიმებს,
მეც იმდენჯერ ვეღლეკსები.

ზაალ ეგანოიძე

გაბის ბურთი

gabi
ebanize

გაბის ბურთი მოუტანეს,
უცნაურად ელვარე;
ბურთზე ნახავ ალპების თუ
კავკასიის მწვერვალებს,
ევროპას და ამერიკას,
აფრიკას და აზიას.
ყველა ამას გაიძახის:
— დედა, რა ლამაზია!

მაგრამ გაბი არ ერევა
იმათ დავა-კამათში,
ფიქრობს: „არ გამიგონია
დედამიწით თამაში“.

ზარმაცი ბოჩა

— მზე ბირს იბანს, — უთხრეს ბოჩას,
ბოჩა უნდოდ გაიბადრა:
— დედა არ ჭყავს, ალბათ, თორემ,
თავად რატომ დაიბანდა?

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული

რეზო ჭეიშვილი

ჯეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში, ხილიანზე, გვყავდა ერთი ძაღლი, ერქვა ჯეკი. ჩემთან ერთად გაიზარდა და, მე რომ კაცობაში შეველ, ის დაბერდა, თბილი ქვისფერი ძუკნა გახდა. ჩვენიო, რომ ვამბობ, ჩვენი სახლისა იყო. მთელ კორპუსს, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად, თავისად მიაჩნდა. ტერენტი გრანელს ერთი ლექსი აქვს ძაღლზე, კერძოდ, ჯეკზე, ცხადია, არა ჩვენს ჯეკაზე:

ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, / ალბათ, სიხარულს გრძნობს გიტარაში, / ახლა ჯეკია ჩემი მშველელი, / ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი...

ალბათ, სიხარულს გრძნობს გიტარაშიო, ცოტა უცნაურია (არაუცნაური ლექსები პოეტ ტერენტის თითქმის არცა აქვს); ძაღლს გიტარაში რა შვება და სიხარული უნდა ეშოვა. პოეტი პოეტია, ძაღლი, ძაღლის არ იყოს, ძაღლია და გიტარასთან მისი მგრძნობიარობა პოეტის თუ პოეტური წარმოსახვის ფანტაზიაა აშკარად.

ჯეკი წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ ყრიდა ლეკვებს და მათი თვალის ახელამდე არც ჭამა ახსოვდა, არც სმა. იმ დროს ბრაზიც ჯაბნიდა და მის ახლომახლო სულიერი, მითუმეტეს ოთხფეხი, ვერ გაიჭაჭანებდა. გადიოდა დრო, ვნებები ცხრებოდნენ. ჯეკი უკვე ცოტა ხნიო, შემდეგ კარგა ხნითაც ტოვებდა ბუნაგს. ბუხულია, ახალთვალგახელილი, ბნელი სარდაფის კიბის მტვრიან საფეხურებს გამოცილებული, სადარბაზოში გამობობღებული ლეკვები ღია კარიდან შემოვარდნილ მძლავრ სინათლეს უსწორებდნენ თვალებს; მათს გაოცებულ, მრგვალ გუგებში ირეკლებოდნენ ლურჯი ცის ფონზე ასვეტილი სახლების სილუეტები. ლეკვები, ბოლობოლო, ჩვენი სახლის მობინადრეთა სიტყვიერი და ჯეკის უსიტყვო ნახევართანხმობით მოქალაქეებს მიჰყავდათ. ჯეკი აღარ დარდობდა, ხვდებოდა, რომ მისი ნაშიერნი კარგ ეზოებში დაბინავდებოდნენ, გამრავლდებოდნენ, შეავსებდნენ ეზო-სადარბაზოების სიცარიელეს ფოლადისფერი ბეწვით, მშვიდი და ფხიზელი ყოფიერებით. ჯეკიც თავისუფალი იყო დედური, თუმცა არა ძაღლური მოვალეობისაგან. სდარაჯობდა ზონას, დაჰყვებოდა ბავშვებს, უმეთვალყურეოდ დარჩენილ პატარებს უფროსების გამოჩენამდე არ შორდებოდა; გამომცდელად აკვირდებოდა უცხოს, ავ კაცს (როგორ ცნობდა, ძაღლური საიდუმლოა) უყეფდა.

მარტოხელა პედაგოგმა ჩვენი სახლი რომ მიატოვა, ძაღლმა იჯავრა და ბოლოს ჩემი ბინის კართან გადმობარგდა. ფეხსაწმენდ ტილოსთან ახლო, საგაზეთო ყუთს ქვემოთ, თათებში დრუნჩჩარგული, შუადღის სიცხეს თავგარიდებული თვლემდა ხოლმე. ყველას ძაღლურ პატივს სცემდა და უმეტეს მაინც — ბაადურს, ჩემი ვარაუდით. თავად ბაადურს ყველა და ყველანაირი ოთხფეხი უყვარდა (ჯეკზე ლაპარაკი არაა) თავისებურად. მზის ჩასვლისას ვერის ხეობაში გააბოტებდა, დიდი, სქელძირიანი წაღების კვალდამჩნევით და მხლებლით. გადიოდა ვაკეში და ბარნოვის ქუჩამდე არმისული, შედიოდა დისკოთეკის ბარში, წრუპავდა ვისკის, გოგო-ბიჭების კინნიალ-ბრუალში მონაწილეობას არ იღებდა. ჯეკი პირველსავე კვარტალთან რჩებოდა, ბრუნდებოდა უკან და ნაშუაღამევს (იცოდა ბაადურის ასვლა-ჩამოსვლის განრიგი) უხვდებოდა ბოგირთან, ვერეღელეზე რომ იყო გადებული. ნაბახუსევი, ცოტა გაბურბუსალებული ბაადური დღის თორმეტ საათზე (მისთვის დილა-ალიონზე) მწერალთა სახლთან ელაპარაკებოდა ჯეკს, გრძელი ყურის წკინტებით უსუფთავებდა თვალებს, შემდეგ აცილებდა ტკიპას, ჯღიბას, ყველანაირ მკბენარს.

— გეყოფა ახლა, წადი!

ჯეკი მხხვილი, ღონიერი კუდის ქიანით და რატომღაც ცხვირის ცემინებით მიდიოდა.

ერთ საღამოს, არ დაიჯერებთ, ჯეკი

მხატვარი ვაჩე ქურდიანი

დისკობარში შეჰყვა. პროსპექტს არ გადალახავდა და არც უფიქრია, თუ ისევ უკან მოჰყვებოდა, თანაც — ამალით. ჯეკს მთელი ხეობის ხვადები ასდევნებოდნენ დიდიან-პატარიანად. მიდის ბაადური დინჯად და ძაღლების კავალკადა მიჰყვება გაბაწრული. შევიდა ბარში და შეჰყვა ჯეკი და ოცამდე სასიძო. ატყდა ნიოკი, ყეფა, კივილი. ძლივს გაათავისუფლეს საძაღლეთად ქცეული შენობა თვალში სინათლედაკარგული ნაგაზებისაგან.

მეორე დილით (დაახლოებით 12 საათზე) გაბურბუსალებული, გამოუძინებელი ბაადური ძაღლს საყვედურობდა, მომჭერი ხომ თავიო.

— მეორედ არ მაკადრო მასეთი რამ!

დოლიძის ქუჩის ბოლოს, შუაღამით, არ ვმალავ, გვარიანი ნასვამი, მანქანით ხეს შევასკდი. მეხთატეხა იყო ჩემს ყურში, ელვამ გამინათა გონება და ჩამიქრო. ცხელმა დრუნჩმა გამომამფხიზლა, ვიღაც მქაჩავს შიშველ მკლავზე. ძაღლის კბილები ვიგრძენი, ჯეკიც ვიცანი. დაჯახების საზარელი ხმით დაფეთებული უბნელებიც მოცვივდნენ, ცეცხლწაკიდებული მანქანიდან გამომათრიეს. სასწრაფო დახმარების კარეტა რომ მოვიდა, ჯეკმა წკმუტუნ-ყმუილი დაიწყო. სანამ თავზე ხელი არ დავადე, ნუ გეშინია-მეთქი, არ დაწყნარდა.

...ეს ძაღლი ხშირად კაცი მგონია, / ალბათ მას ტანჯავს ფიქრების წყება. / ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია, / სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა...

გავიდა დრო და ერთ დღეს ბაადური მხარზე ბარგადებული მომადგა. რა არი, მე ვეუბნები, საბარავად მიდიხარ?!

ნუ იცინიო, მითხრა, ჯეკი მოკვდა, უნდა დავმარხოთო.

სად, როდის? — შევწუხდი ძალიან, რამდენიმე დღე, შეიძლება მთელი ორი კვირა თვალი რომ არ წამიკრავს, მაშინ გამახსენდა.

არქიტექტორთა სახლის წინ წევს (აგდიაო, არ თქვა). მთელი ამ ორი-სამი სახლის ბავშვებიც იქ არიან თავდაყრილნი, დაკრძალვაში მონაწილეობენო, ამიხსნა. მივედით. ბავშვები იქ არ დამინახავს. ჯეკიც არ ჩანდა და ხომ არ მოეჩვენა-მეთქი, ესეც კი ვიფიქრე. იქვე იწვა გარგარის ძირას. მიწა გაეფხოჭნა და გრილოში დაელია სული მაისის მზიან დღეს. ამოვთხარეთ სამარე გზისპირს, ნაბილიკართან. ისე კი ვიკითხე, რატომ ვმარხავთ მაინცდამაინც აქ, ამ სახლის წინმეთქი. სადაც მოკვდა, იქ უნდა დაიმარხოს, ასეთი წესიაო. ცოტა გვერდზე, მიფარებულში, გადამწვანებული გარგარის ქვეშ მომკვდარიყო, მაგრამ, რაღაი წესი იყო ისეთი, უნდა დავმორჩილებოდი წესს, რომელიც მანამდე არ მქონია გაგებული. ღორღნაყარი და დატკეპნილი მიწა ძნელი ამოსაყრელი შეიქნა და სამარეც ღრმა არ გამოგვივიდა. მოვკიდეთ წინ და უკან ფეხებში ჯეკის ხელები და ჩავდეთ გრილ მიწაში. სულო ცოდვილო და, პატარაზე კი გავუგვერდე ცხვირი სუნს, მაგრამ უსიამო არა მიყნოსია რა. გაფშეკილ ძაღლს ღია ყავისფერ თვალებზე ასხდებოდნენ და ხელის აქნევაზე ფრინდებოდნენ მწვანედ გამჭვირვალე ბუზები მხოლოდ.

ის იყო, მიწის წაყრა უნდა დაგვეწყო, რომ არქიტექტორთა სახლის მესამე სართულიდან ქალის ხმა ჩამოგვესმა. წითელი, ფოთოლ-ფოთოლ ჩაზურმუხტებული ხალათის ცალ ღილს იკრავდა მუხლზემოთ, მეორე ხელი მკერდზე ჰქონდა მიჭერილი, — უკაცრავად კი ვარ, მარა, რას სჩადიხართო, აინტერესებდა.

— ძაღლს ვმარხავთ, ქალბატონო, ჯეკას...

— აქ რატომ მარხავთ?

— აქ მიიცვალა, — ბაადური პასუხობდა, — წესია ასეთი, სახლთან ახლო უნდა დაიმარხოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედამიწაზე მილიონზე მეტი სახეობის ცხოველია.



ცხოველები სხვადასხვა ზომისა და ფორმისანი არიან. ყველაზე ძალიან მაღალია, ლოკოკინ—აპატარა, ზოგი ცხოველის დასანახად მიკროსკოპია საჭირო.

ყველაზე დიდი ცხოველი ხმელეთზე აფრიკული სპილოა. მისი სიმაღლე 3,5 მეტრია, წონა კი 6 ტონას აღწევს. მაგრამ ცისფერ

ვეშაპთან შედარებით იგი სათამაშოს მოგგონებთ. ვეშაპი 120 ტონას იწონის. სიგრძით კი 6-7 აფრიკული სპილოს ტოლია. ვეშაპი მხოლოდ ოკეანეში ცხოვრობს.

არსებობს ცხოველი ამფიბიაც, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც (მაგალითად ბაყაყი, სალამანდრა ან ტრიტონი).

სადაც გარდაიცვლება, იქო, მე მარწმუნებდა; ახლა სახლის წინო, ამტკიცებდა.

— წაიღეთ და თქვენი სახლის წინ დამარხეთ!

თუ იტყოდი, სადაც თქვენ დგახართ, ქალბატონო, სწორედ ეგაა ჩემი და ამისი სახლიო, თორემ სხვა კონტრპასუხი ქალის არგუმენტირებულ წინადადებას არ ჰქონდა. ჩემი ვარაუდი გაიზიარა ბაადურმა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მუშაობა შეწყვიტა და ბარის ტარზე დაყრდნობილდანდობილმა ადრინდელი გაიმეორა: ძაღლი, სადაც მოკვდება, იქ იმარხებაო და რამდენიმე შეგონებაც, კაცისა და პირუტყვის სიყვარულის თაობაზე, მიაყოლა ზედ. ამ ლაპარაკში სხვა აივნებზე — ზევით, ქვევით, გვერდებზე — სხვა ქალები გამოფენილიყვნენ. ვერც ერთი ბაადურისეული ვერსიის — ძაღლის იქ დამარხვის აუცილებლობის სისწორეში ვერ დარწმუნებულიყო. ერომა ისიც კი იკადრა, ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოსო.

— არავის არ მოუკლავს, ქალბატონო, — უპასუხოდ არ ტოვებდა არც ერთ შენიშვნას ბაადური, — თავად მოკვდა, გალია პატიოსნად თავისი ცხოვრება... თქვენ თუ გახსოვთ პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ... წმინდა მამების შეგონებანი...

— ამათ მამებს ბევრი იცნობთ, — გარკვევით გავიგონე, — ერთის მამა მინისტრია, მეორისა მწერალი, ესენი ვის ჰგვანან!..

სად გადავვარდნილიყავ, აღარ ვიცოდი. ბაადურის მიტოვება არ შემეძლო, გაბრუნებაც მრცხვენოდა.

ამ ყოფაში ვიყავ, როდესაც ხევიდან ამომავალი ბაგშვები დავინახე. ფერდობზე ამოდიოდნენ პატარები: გოგონები, ბიჭუნები, უფრო დიდს უფრო პატარა მოჰყვდა. ხელში ყვავილები ეჭირათ. ჩვენს მოსვლამდე ჩასულიყვნენ ყვავილების ამოსატანად. ვინც რას მისწვდენოდა, ის წამოელო. მოჰქონდათ ყვავილები მინდვრისა, კვირტები ბუჩქებისა, ყლორტები ახალნარგავებისა, ბალახიც კი. ამოვიდნენ. ამომწვანდნენ. ამოყვავილდნენ...

შვილების, შვილიშვილების, დისშვილების, ძმისშვილების, სხვათა შვილების დანახვაზე ქალები ოთახებში შეჩრდილდნენ, უხმოდ გაერიდნენ მზეს. უხმოდ ამოვავსეთ მიწით სამარე ჩვენც. პატარებმა გაამწვან-გადაანითლეს ბორცვი.

...ალბათ მას ახსოვს ლანდი კამეჩის, / იცის დუმილი და შეწუხება, / წუხელ ქარიან შუაღამეში, / ჯეკმა ვიღაცას დიდხანს უყეფა...

მე და ბაადურმა სიმღერად ავაწყვეთ იმ საღამოს გიტარაზე. რამდენიმე ცდის შემდეგ მუსიკა ტერენტის ტექსტიოურთ ბაადურმა ჩაიბარა. მთვარიანში ხანდახან, ხასიათს გააჩნია, აივანზე ზის გიტარით და წყნარად მღერის. სიმღერა ისე არ ისმის, როგორც გარხეული სიმების ჟღერა გამოდის ცხელ ქარშოშინში; გიტარას მოხუცი ძაღლიც ეხმიანება საიდანღაც ყრუდ, არაძაღლურად.

ვაჟა ყუბუსიძე

უნებლიე მაბეზღარა

ბაწაწინა ეკამ
დედას დაურეკა:
— ბეფოცები ყველასაო,
განჯინიდან გელასაო
არ უნდოდა, არაო,
რამე მოეპარაო,
სამურაბე ქილაო
თვითონ გატეხილაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მხარგრძელი

ბუტია ბატი

ბრაზობს ბატი ბუტია:
— ეს რა ბატიბუტია?
კატუნიავ, ტუუილად
მოტანტალდი მომხმარედ,
მახსოვს, გუშინ სიმინდი
უხეიროდ მოხალე.
თუმცა კატა კი ჭქვია,
ფისო ჯერაც კნუტია,
მაინც ბატმა ბუტიამ
უტია და უტია —
აღარც სიმინდი დარჩა,
აღარც ბატიბუტი აქვს.

ალექსანდრე დიდებაშვილი

ნატვრა

დედა, დედა, დედიკო
მინდა მუდამ მხნედ იყოს.
კარგი შვილი დედას
არ გაუჩენს სევდას.

დილა

მამალი მალ-მალე ყიოდა.
მზე მთაზე ამოდიოდა.
კრიალა დილა დგებოდა.
ცვარ-ნამი მოლზე
სხიოდა.

ოლეგ გველესიანი

მოდიდგულობს მდინარე

მოჩითულა კორდები
თვალხატულა ეებით...
მოდიდგულობს მდინარე —
თოვლზე შურისძიებით.

ტყეში ქარი ფოფინებს
თბილი და სასურველი,
არემარეს ედება
ვაზაფხულის სურნელი.

ეზატფარი
თამუნა ბატაფუნაშვილი

ვანო ჩხიკვაძე

კომბლე

ერთი შეხეთ, ჩვენმა კომბლემ
დაამგვანა სახლი საწყობს,
დღე და ღამე
თლის და,
თლის და,
გათლილ კომბლებს
ჭერში აწყობს.

რად ინახავს ამდენ კომბალს?
უკვირს უნნობს,
უკვირს ნაცნობს,
კომბლეს ცხვრები კიკინებენ:
– ვინც ჩვენ შეგეჭამს,
თავში ჩასცხებს!

ბალახობენ უდარდელად,
ბუჩქებში კი მოთქვამს მელა –
რა იღონოს,
ნერწყვი მოსდის,
სახელგანთქმულ ცრუპენტელას.

შეთქმული მაქვს,
სააღდგომოდ,
ერთი ცხვარი მომეციო,
თავი როგორ შეაბრალოს,
ეშინია კომბლესიო.

ცარიელი კასრით ხელში,
მობაჯბაჯებს დათვიც ხვნეშით.
მსუნაგმა და თაფლის ტკიბამ
კასრი უკვე ამოგვლიპა.

კომბლეს ცხვრები ელანდება
დღისითა და ღამითაო.
კბილს გაჰკრავდა,
მაგრამ უფრთხის
კომბლეს ჩვენი დავითაო.

ჰოდა, როცა უდარდელად,
ბალახობენ ცხვრები ველად,
დასტრიალებს მინდორს ძერა:
– ვინ გახდება კომბლეს წერა?

აი, ისიც, აღრენილი
გარეშემო
მინდორს უვლის,
ეს ხომ მგელი გუნგარაა,
მშიერი და გაქუცული.
გაიცანით, ვინც არ იცნობთ,
დაუნდობელი და ავი –
ხრა-ხრი,
ხრი-ხრა,
ხრა-ხრი,
ხრი-ხრა,
კბილებს ილესს სალესავით.

დათვმა უთხრა:
ფრთხილად, მგელო,
თორემ გადეყრები ჭირსო.
– ჩემს მზეს ვფიცავ,
კომბლეს ცხვრები,
კომბლეს ცემად თუ
არ ღირსო.

– არაფერი არ გეტკინოს,
ვიდრე ხორციით გამოგაძღო, –
ელიმება ულვაშებში,
კომბლეს კომბლე ჭერში აწყობს.

ეჰ, გუნგარავ, უშიშარო,
კბილებს ამოგამგერევს კომბლე,
ერთი გამოძღომისათვის
ლეკვუნებს ნუ დაობლებ.

არ იჯერებს:
– ჩვენი ღმერთი
მხოლოდ გამბედავებს სწყალობს,
ხორცი – მენა,
ტყავი – შენა,
კომბლემ კი კომბლები თალოს...

რაღა ბევრი გავაგრძელო,
ბუჩქებიდან, როგორც ტყვია,
გამოვარდა უცებ მგელი
და კომბლეს ცხვრებს დაერია.

დატრიალდა კომბალიც და,
– ჰი, ჰი, შეხვდა ფერი ფერსო, –
დათვს და მელას უხარიათ, –
ხომ დაბეგვეს,
ეგეც მგელსო...

რაც მოხდა, ხომ ყველამ იცით,
ბოლოს მგელი გაითაქა,
ცხვრები ისევ კომბლეს დარჩა –
„ჭირი – იქა,
ლხინი – აქა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი სალომე ჯაიჭაძე



10

1 ივნისს ანსამბლი „გვირილა“ 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღისათვის ყველაზე გულმოდგინედ „გვირილას“ უმცროსი თაობა ემზადება.

ჰაფალო ჩაზმეღო�e ციმღოფრა

კომპოზიტორი მაიკო ელოშვილი

ლექსი ტარიელ ხვიასის



2. დამ-დიმ, დიმ-დამ,
უკრავს ღოლი,
ხმალიც ავად ტრიალებს.
ზოგი ვმღერით, ზოგიც
ვცეკვავთ
და ცერებზე ვტრიალებთ.

მის: მერე მწყობრი
ნაბიჯებით
მივდივართ და მოვდივართ;
ჩვენ მშვიდობის მტრედები
ვართ,
ავის მდომნი როდი ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი მაზმიშვილი

რაღა უნდა?..

ბადა-ბუდა, ბადა-ბუდა,
ვასიკოსაც სწავლა უნდა,
ეს ფისოა, ის ყურცქვიტა,
ეს გრძელკუდა მელაკუდა
აქ კომბლეა, იქ წიქარა,
აქ ბებიას წითელქუდა,
ჰოდა, კითხვას რაღა უნდა?
ბადა-ბუდა, ბადა- ბუდა.

ოთარ შალამბერიძე

პაპისა და შვილიშვილის დავა

სოფიკო შვილიშვილია,
პაპის მზეცა და მთვარეცა,
მაგრამ ჩვენს შორის მშვიდობა
ერთმა შემთხვევამ წარეცხა:

სოფიკოს ნებავს, რომ პაპამ
სულ ფიანდაზი ვუფინო,
უხორცო წვნიანს ხელი ჰკრა, —
არ მიყვარს თქლაფათქლუფიო.

— იცოდე, გაგებუტები,
წუნია რომ ხარ, იმიტომ.
— მე კიდე ფეხსაცმლის ზონარს
აღარ შეგიკრავ დილითო.

— ძალიან კარგი, — ეპასუხობ
(თან ქუდს წიპურტით მტვერს ვაცლი).
ზონარს თუ აღარ შემიკრავ,
ეფელი უზონრო ფეხსაცმლით.

ნანა ბერიაშვილი

სანაქებო ბიჭი

ბეჯითია ზურიკელა,
ძლიერი და კუნთიანი,
აი, დდესაც ორ საგანში
მიუდია ხუთიანი.

სიხარულით ცრემლმომდგარი
გულში იერავს, ლოცავს ბებო,
ეველა დედას გაეზარდოს,
შვილი შენებრ სანაქებო.

ცხრილოიანთ მეთემეფიკა

რომანოზ დანელია
ჯემალ ჯინჯიხაძე

მხატვარი
თეა მიქაია

ხომ მოგეწონა პირველი მოგზაურობა ლალი და ინეზა მასწავლებლებთან ერთად? თქვენ მაშინ ლამაზი ამოცანები შეადგინეთ.
მოდი, ამჯერად ჩვენ ვიმოგზაუროთ!

მოგზაურობა მეორე

ჩვენი მფრინავი ხალიჩა ლამაზ ქვეყანაში მიფრინავს.

აი ისიც. აქ შემოდგომა შემოსულა, მდიდარი და ბარაქიანი შემოდგომა. რა წარმტაცად გადაჭიმულან ზვრები! ბალებიც როგორ დახუნძლულან.

ვეშვებით. ხედავ, გოგო-ბიჭები ზვარს როგორ შესევიან? ყურძენს კრეფენ. თემო და ირაკლი მოკრეფილ ყურძენს გოდრებში ყრიან, თან ღიღინებენ. დროდადრო სავსე გოდრებს ითვლიან. შეხედე, თემომ უკვე 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. ნეტა რამდენი გოდორი აავსო ორივემ ერთად?

ირაკლიმ გამომწვევად შეხედა თემოს.

— ჩემი გოდრები მეტია შენსაზე, — უთხრა ირაკლიმ.

— არა, ჩემია მეტი! — ამაყად უპასუხა თემომ.

შენ როგორ გგონია, ვისი გოდრების რაოდენობაა მეტი და რამდენით?

ჰო, მართლა, ნახე, რა კარგი ამოცანები შეგვიდგენია:

ამოცანა 1. თემომ ყურძნის მტევნებით 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. რამდენი გოდორი აავსო ორივემ ერთად?

ამოცანა 2. თემომ ყურძნის მტევნებით 6 გოდორი აავსო, ირაკლიმ — 5. რომელმა აავსო მეტი და რამდენით?

დაგვინახეს ბიჭებმა, ჩვენკენ მოდიან. თითა ყურძენი მოაქვთ. რა დაშაქრული მტევნებია!..

დავალება: შენც მოიფიქრე ასეთივე ამოცანები!

ახლა წავიდეთ, ხილის კრეფა ვნახოთ! გესმის, რა ჟივილ-ხივილია ხეხილის ბაღში?

ერთ ვაშლის ხეზე გიორგი და ჯემიკო ასულან. ძალიან ფრთხილად კრეფენ, მაგრამ დროდადრო მაინც გაუვარდებათ ხოლმე ხელიდან ვაშლი. ხან ერთის მოწყვეტისას ტოტი შეირხევა და მეორე ვარდება. გიორგის უკვე 6 ვაშლი ჩამოუვარდა, ჯემიკოს კი — 3-ით მეტი. რამდენი ვაშლი ჩამოუვარდა ჯემიკოს?

მოდი, ჯემიკოს კალათაში ჩავიხედოთ. მას 10 ვაშლი მოუწყვეტია, გიორგის კი — 2-ით ნაკლები. ნეტა რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

რაღაც გეღიმება. მართალი ხარ. ჩვენ ახლაც ამოცანები შევადგინეთ. აი, ისინიც:

ამოცანა 1. გიორგის ხიდან 6 ვაშლი ჩამოუვარდა, ჯემიკოს კი — 3-ით მეტი. რამდენი ვაშლი ჩამოუვარდა ხიდან ჯემიკოს?

ამოცანა 2. ჯემიკომ 10 ვაშლი მოწყვიტა, გიორგიმ კი — 2-ით ნაკლები. რამდენი ვაშლი მოწყვიტა გიორგიმ?

დავალება: შენც მოიფიქრე ასეთივე ამოცანები!

გაზაფხულზე მზე ნელ-ნელა გვიახლოვდება, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის. ამიტომ დღე დიდდება, ღამე კი პატარავდება.

მზის სითბოს ახალი სიცოცხლე მოაქვს დედამიწაზე. ტყე-ველი ამწვანებას იწყებს, ფრინველები, ცხოველები და თევზები კი – გამრავლებას.

გაზაფხული ყველგან ერთ დროს როდი იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში იგი უფრო ადრე დგება, ჩრდილოეთისკენ – გვიან. აპრილში თუ ჩვენთან ყვავილობაა, რუსეთში ჯერ კიდევ თოვლი დევს. თებერვალში ჩვენთან ზამთარია, სპარსეთში კი – შუა გაზაფხული.

დედამიწაზე არის ისეთი ადგილებიც, სადაც გაზაფხული საერთოდ არ მოდის. არქტიკასა და ანტარქტიდაში წელიწადის ორი დრო – ზამთარი და ზაფხული. ზაფხულში მზე არასდროს ჩადის, ზამთარში კი – არასდროს ამოდის.

ეკვატორთან ახლოს მდებარე ადგილებშიც ორი დრო და ორგვარი ამინდია: პაპანაქება სიცხესა და გვალვას აქ წვიმების სეზონი მოსდევს.

ბაზაფხული

ძველქართულად მარტს მგრიჯა ეწ

ლია კობალაძე

რა კარგია!

ამ ხის კვირტმა თვალი ჭყიტა,
თვალი ჭყიტა იმ ხის კვირტმა,
სადედოფლო კაბა გვინდა,
სადედოფლო კაბა გვინდა!
არც დედიკოს მაკრატლითა,
არც ბებიკოს მაკრატლითა,
თბილი ცითა, მიწის ცდითა,
კაცის ნაშრომ-ნაღვაწითა,
აიჭრა და აილამბა
აბრეშუმი, ჩითი, ბამბა,
შეიკერა ატმის კაბა,
ჭერმის კაბა, ტყემლის კაბა,
უჩურჩულა იამ ნიაგს:
— რა კარგია!
— აბა, აბა!
— ტია, ტია, — თქვა ჩიტმაც და
მაქმანებში მიინაბა.

„სიცოცხლე მინ
რად, სიცოცხლე ტკ
სიცოცხლე ზღვ
წყალში, სიცოცხლე
ში. სად გაიხედავ,
დაინახო შთამომავლ
ზე ზრუნვა... ფუტკ
რა სათქმელია, ჭიანჭ
ლასაც კი აუფუთფუ



ფუტკრუა

ბარილს – აპინის მაისს – ვარდობისთვე

ბია თავისი ციხე-დარბაზი მემკვიდრეთა სიუხვით. ტრეფს ნუ იტყვი, ჭიჭავსაც კი გამოუჩეკია ოთხი-ხუთი ბარტყი... ეს სულ გაზაფხულის ბრალი, მისი ოინია“.

ვაჟა-ფშაველა

ლალი ჯაფარაშვილი

წიწკანები წვიმაში

წიწკანები წიფიან,
იწუნებენ წვიმიანს, —
მოგვეწონა შინაო,
თანაც ძლიერ გვშიაო!
ნეტავ გამოიდაროს,
ვეწვეოდით წინწაროს,
მარდები და ცქრიალები
ჩქერში შევიფრთხიალებდით,
მერე იქვე, წვაროს გვერდით,
ბროწეულზე მოვიფლხენდით...
— ცაო, გადაიწმინდე,
მზეევ, მოქარგე ცის კიდე,
წვიმავ, გადაკარე,
გულს ნუ დასწვეტ წიწკანებს!

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. ცხრა მარტს დღე ღამეს უსწორდება და გაზაფხულიც ამ რიცხვიდან დგება. ხეებზე პირველი კვირტები ჩნდება, ბალახი ამოპბინდნდება, ზამთრის ძილისგან იღვიძებს დათვი, ზღარბი და ციყვი; თბილი ქვეყნებიდან ბრუნდება მერცხალი და ბუდის აშენებას იწყებს.

მარტი გიფიაო, ჭირვეულიაო, ხომ გაგიგონია – ეს მარტის ცვალებადი ამინდის გამოა ნათქვამი: ხან წვიმს, ხან მზე გამოდის. თუ ერთდროულად წვიმს და მზეც ანათებს, ჰაერში ცისარტყელა ჩნდება.

აპრილი გაზაფხულის ჭრელაჭრელა, ნაირფერად მორთულ-მოკაზმული თვეა. ყველაზე მეტი ყვავილი ამ დროს იშლება. ნუში, ატამი, ვაშლი, კომში, მსხალი, ალუბალი, ბროწეული – თითოეული ზე განუმეორებელი ფერის ყვავილით ყვავის, გაზაფხულს უკვე სუნით კი არა, ფერით შეიგრძნობ. აპრილში წვიმაც კი თბილია, მზე უფრო უხვად აფრქვევს თავის მადლიან სხივებს დედამიწას.

მაისში სითბო რაღა მოსატანია, უკვე ცხელა კიდეც. ამ დროს პირველი ხილის დაგემოვნებაც შეიძლება. ხეზე დაკრეფილ ნაადრევ ხილზე გემრიელი ხომ არაფერია. ბალში ნაირფერი ვარდები ჰყვავიან. ამიტომ ძველად ამ თვეს ვარდობისთვე ერქვა. მაისის ბოლო რიცხვებს თქვენთვის არადეგების მოლოდინიც ალამაზებს – წინ ცხელი, ლაღი და მზიარული ზაფხულია.

გილოცავთ დაბადების დღეს

ცოტნე აბულაძე, ანა არევაძე, სანდრო გადელია, მარიამ
და რეზიკო გოდაბრელიძეები, ნატალი კობიაშვილი, თიკო
კოპაძე, მაიკო მარსაჯიშვილი, რატი და თენგო მეზვრიშვი-
ლები, მარი მესხი, თამთა და თეონა მიქაიები, ბუბა მოლა-
შვილი, სოფიკო ნიკოლაიშვილი, თაკო სამ-
ხარაძე, ანა ფხალაძე, დათუნა და პაპუნა
ქელბაქიანები, თათია წიკლაური,
ნია ჭილაშვილი, ბექა ჩიჩუა,
გიორგი ხაბეიშვილი



ჩაწერილი ფოლკლორული მასალა

ჩემი თეთრი ხმიადა,
გორაზედ ჩამოგორავდა
(ფამფალ)

ხარი ორმოს ჩამივარდა
კუდით ვეზიდებოდიო.
(ფიფიწა)

ე ჩემი ცხენი სოსანიო
გიორგი-დედის სტუმარი
ჭაობში ფეხი ჩამიცა,
წყალი დამიშრო მდინარი
(ფეფ)

ჭაკნი-ჭუკნი წაიკიდნენ
ჭაკნი-ჭუკნის კარზედაო
ჭაკმა დაპკრა თავშიაო,
გამოაგდო კარშიაო.
(ეაშრ ბრ ბიიდშეეა)

მოქმელი
ბაბალე წიკლაური, 83 წლ
1998 წელი, 2 აგვისტო.
ჩამწერი
მარიამ დიაკონიძე
10 წლის, სკოლა „ლაშარ

იძნებ ასეთი ფოლკლორული მასალები ამ ზაფხულს თქვენც შეაგროვოთ!

მხატვარი ნანა მელქაძე

ისლა დაგვრჩენია...

თევდორე გოგოლაძე

„დილის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ნორჩი მკითხველის წერილი რედაქციისადმი. ჩვენი პატარა მეგობარი „დილას“ სახლის აშენებას ჰპირდებოდა. რა უნდა იყოს რედაქციისათვის უფრო სასიხარულო, ვიდრე მკითხველის ესოდენი სიყვარული და თანადგომა?

ახლახანს „დილის“ რედაქციაში მივიღეთ ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლის თევდორე გოგოლაძის ნახატი — „სკოლა დამეწვა“, — რომელმაც დიდი ტკივილი და მწუხარება განგვაცდევინა.

პატარა თევდორეს სკოლა უსახსრობის გამო დღემდე აღუდგენელია. ვინ უწყის, როდის გამოჩნდება კეთილი ჯადოქარი, ჯადოსნური კვერთხი რომ აიქნიოს და ერთ მშვენიერ დილას თევდორეს თავისი სკოლა აშენებული და გალამაზებული დაახვედროს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, თევდორე და მისი თანასკოლელები მარტო სიტყვით გავამხნეოთ, რადგან სიტყვაა ყველა დიდი თუ მცირე საქმის დასაწყისი.

ნოდარ დუმბაძის სახ. საერო სკოლის V კლ. მოსწავლე ნათია ჭიკაძე

წყლის წვეთი

მე სულ ახლახან გაჩენილი პაწია
წყლის წვეთი ვარ. იცით, სად
გავჩნდი? — ერთი მრავალსართუ
ლიანი სახლის სახურავზე რომ
ყინულის ლოლუაა, ამ დილით მზე
გაათბო და სიხარულის ცრემლ
მოსწყვიტა. სწორედ ყინულის
ლოლუას ცრემლი ვარ. — პაწია
წყლის წვეთი, თავბრუდამხვევ
სისწრაფით რომ მიეჭრი მიწისაკენ
ჩემი დაბადების ამბავი კი
ვიცი, მაგრამ ნეტავ რა
მელის იქ, დაბლა, მიწას-

ბერიკაცი ქუჩის კუთხეში

ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. ერთხელ ქმარი ტყუილუბრალოდ დაიჭირეს, მკვლელობა დააბრალეს.

გავიდა დიდი ხანი. ქმარი დაბრუნდა ციხიდან, ცოლი გარდაცვლილი დახვდა. კაცი უკვე დაინვალიდებული იყო. ციხეში ის დაავადდა და მუშაობა აღარ შეეძლო, ამიტომ ნელ-ნელა ყველაფერი გაყიდა. ბოლოს დარჩა მარტო ბეჭედი, რომელიც ამ ბერიკაცმა თავის ცოლს აჩუქა. არ უნდოდა მისი გაყიდვა, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა. გავიდა ქუჩის კუთხეში, დადგა ჩუმად და გამვლელებს სთხოვდა, ეყიდათ ბეჭედი. თან ცრემლები ჩამოსდიოდა. ერთმა კაცმა ხელში ფული ჩაუდო. ბერიკაცს ეგონა, ბეჭედს ყიდულობსო, მაგრამ იმ კაცს ისე შეეცოდა, რომ ბეჭედი არ გამოართვა. ბერიკაცს ძალიან გაუხარდა. სხვა გამვლელებმაც მისცეს ფული. ბოლოს ერთმა კაცმა ბეჭედი იყიდა. მოხუცს ჯერ გაუხარდა, მაგრამ, რომ დაფიქრდა, ეწყინა, გული დასწყდა, რომ ბეჭედი გაყიდა. მას წარსულის გასახსენებლად მხოლოდ ეს ბეჭედი ჰქონდა.

ნოდარ დუმბაძის სახელობის არასახელმწიფო საერო სკოლის V კლასის მოსწავლე
გვანცა გედუკაძე

ბიჭი და მარტორქა

იყო ერთი ბიჭი და მარტორქა. ბიჭი ადამიანია, მარტორქა კი — ცხოველი. შეაჯდა ეს ბიჭი მარტორქას ზურგზე. ღამე იყო და მარტორქას თვალები ანათებდა. უცებ მონადირე გამოჩნდა და ბიჭს ჰკითხა: აქ რას აკეთებო? ბიჭმა მიუგო: მე და მარტორქა მეგობრები ვართ და ვსეირნობთო.

მერე უცებ გველეშაპი და დინოზავრი გამოჩნდნენ და ბიჭი და მარტორქა გადაყლაპეს. ეს რომ მონადირემ დაინახა, გადმოიღო თოფი და ორივეს ესროლა. მერე ჯიბიდან ამოიღო დიდი დანა, ორივეს მუცელი გაუჭრა და იქიდან ბიჭი და მარტორქა ამოიყვანა.

გიორგი ჯინჯიხაძე, 3 წლის

მამა

ერთი ტკივილი მაქვს,
ერთი სადარდელი,
ძნელია უმამოდ ყოფნა.

მოდი, რა იქნება,
მოდი, ჩაგეხუტო,
ჩემო საყვარელო მამა!

ღვთისმშობელი

მარიამის ხელები
დედის ხელებს მაგონებს,
სადაც უნდა წავიდე,
ყველგან ლოცვას მაყოლებს.

თეონა მირზაშვილი
11 წლის, სოფელი ჩაილური.

ნათია კობერიძე

ლუკა მაჭავარიანი

65-ე საშ. სკოლა

გიორგი იორაიშვილი
მასალა: ბრინჯი, წებო და საღებავები

სკოლა „ქაი ყმა“

ხულოს ხუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზია

„ვერც ჩვენი პატარა გიმნაზიელები და ვერც ჩვენ, მასწავლებლები, ვერ დავივიწყებთ და მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად გაგვყვება თქვენს რედაქციაში სტუმრობა, საბავშვო მწერლებთან, ჟურნალ „დილის“ რედაქტორთან და რედაქციის თანამშრომლებთან შეხვედრა, სიყვარულითა და სითბოთი სავსე ერთი მშვენიერი დღე“.

ეს წერილი ხულოს აბუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზიის მასწავლებელმა ირინარქი კვირკველიამ მოგვწერა. გიმნაზია 1997 წელს დაარსდა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის დიმიტრის ლოცვა-კურთხევითა და დეკანოზ მირიან სამხარაძის უშუალო ხელმძღვანელობით. ორი წელია მისი მოსწავლეები ჟურნალ „დილის“ ყველა ნომერს რედაქციისაგან საჩუქრად იღებენ. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მეგობრობას. წელს ხულოელი პატარები თბილისში ჩამოვიდნენ, ჩვენც გვეწვივნენ და რედაქციაში პატარა კონცერტიც გამართეს. გიმნაზიაში მუშაობს ხალხურ საკრავთა, ხატვის, ქორეოგრაფიული, გუნდური სიმღერის წრეები. ბავშვები სხვა საგნებთან ერთად მეტყველების კულტურასაც სწავლობენ. ყველამ კარგად ვიცით მთის მკაცრი პირობები. ამიტომ ხულოს აბუსერისძე ტბელის სახელობის გიმნაზიას დიდი საგანმანათლებლო მისია აკისრია. იგი ხელს უწყობს მომავალი თაობის ჭეშმარიტი რწმენით აღზრდა-განათლების საქმეს.

როდის წარმოიშვა ქართული სახელმწიფო

სამშობლოს ისტორიის არმცოდნე ადამიანი იგივეა, რაც უსამშობლო კაცი. ყმაწვილმა თავისი ქვეყნის ისტორია ნელ-ნელა, დედაენასთან ერთად უნდა ისწავლოს. ამიტომ თქვენმა საყვარელმა ჟურნალმა გადაწყვიტა მოგაწოდოთ მოკლე ლექციები საქართველოს ისტორიაში. ლექციებს წარუძღვება პროფესორი გურამ ყორანაშვილი.

ჯერ კიდევ კომუნისტური წყობილების ბოლო წლებში ფიქრობდნენ, აღენიშნათ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის თარიღი – 1000 წელი. საბედნიეროდ, მაშინ ხელისუფალთა ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ახლა, როცა საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებლობის გზაზე, დღევანდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა აღვნიშნოთ პირველი ქართული სახელმწიფოს გაჩენის თარიღი. მაგრამ ამჯერად მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ზოგის აზრით, პირველი ქართული სახელმწიფო წარმოიშვა არგონავტების ეპოქის კოლხეთში, ე.ი. 3300-3500 წლის წინათ, ბევრი მეცნიერი კი ფიქრობს, რომ ეს მოხდა 500 წლის შემდეგ ჭოროხის აუზში (უფრო ზუსტად, მის შუა და ქვემო წელზე). ზოგიერთის ვარაუდით, ქართული სახელმწიფო დაარსდა 2500 წლის წინათ, ზოგი კი შესაბამის თარიღად 2300 წელს თვლის.

მაინც, როდის გაჩნდა პირველი ქართული სახელმწიფო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, როგორ იმართებოდა საზოგადოება სახელმწიფოს წარმოშობამდე.

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანები პირველყოფილ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. დაახლოებით 30-40 ათასი წლის წინათ წარმოიქმნა გვაროვნული წესწყობილება. ცხადია, ის ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო. გვარში ცხოვრობდნენ სისხლისმიერი ნათესაობით გაერთიანებული წევრები. სულ მცირე ორი გვარი ტომს შეადგენდა.

შემდეგში, ნეოლითის პერიოდში, როდესაც მიწათმოქმედება და მეცხოველეობა განვითარდა, განსაზღვრულ ტერიტორიაზე გვარების რაოდენობამ იმატა. გაიზარდა ტომის შემადგენლობაც. მოგვიანებით გაჩნდა ტომთა გაერთიანებანიც. ამ დროისათვის ჩნდება მონობა, ანუ ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის პირველი ფორმა. ამდენად, საზოგადოებაში თავი იჩინა უთანასწორობამ, რაც გაღრმავდა ომიანობის გახშირებით. პარალელურად საზოგადოების ერთი ნაწილისთვის უმთავრესად სწორედ სამხედრო საქმიანობა იქცა. ჩვენი წინაპრები ამგვარ ისტორიულ საფეხურზე უკვე ძვ.წ. III-II ათასწლეულებში მაინც იდგნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ახლა კი პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: რა არის სახელმწიფო? სახელმწიფოს ნიშან-თვისებები ასეთია: 1.მოსახლეობა უკვე დასახლებულია არა გვარებად, სისხლისმიერი ნათესაობის პრინციპით, არამედ – ტერიტორიის მიხედვით, სადაც სხვადასხვა გვარის ადამიანები ცხოვრობენ; 2.ჩნდება იძულების აპარატზე დაყრდნობილი საზოგადოების მმართველი ფენა, რომლის სათავეში მეფე დგას; 3.ამ ფენის შესანახად, რა თქმა უნდა, გარკვეული მატერიალური სახსრებია საჭირო, რისთვისაც აუცილებელია მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფა.

მიუთითებენ, რომ ეს მოვლენები მოხდა ძვ.წ. II ათასწლეულში, I ათასწლეულის დამდეგს ან მის შუა პერიოდში. წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სახელმწიფო პირველად ძვ.წ.IV საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და მოცავდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს.

ასე რომ, შესაბამის საიუბილეო თარიღად 2300 წელი უნდა მივიჩნიოთ.



მხატვარი დათო თოთიბაძე

კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონი

დირექტორი
ნინო ჩიკვაიძე

თბილისში შვიდი წელია არსებობს ქალთა და ვაჟთა პანსიონი, სადაც დღეს 194 მოსწავლე სწავლობს და, შეიძლება ითქვას, ცხოვრობს კიდეც – აქ სასწავლო დღე 9 სთ-და საღამოს 7 სთ-მდე გრძელდება. გოგონების და ვაჟების კლასები განცალკევებულია, ზოგიერთ საგანში მათთვის პროგრამაც განსხვავებულია, მაგრამ ისინი ერთად დადიან ექსკურსიებზე, მონაწილეობენ სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში, ერთად სადილობენ, ერთად თამაშობენ...

პანსიონში სავალდებულო საგნები გაღრმავებული პროგრამით ისწავლება. გარდა ამისა, ბავშვები ვარჯიშობენ რაგბისა და ფეხბურთში, თამაშობენ ჭადრაკს, ცეკვავენ, მღერიან, ხატავენ, ქარგავენ, სწავლობენ ეთიკას, უცხო ენებს (რუსულს, ინგლისურს, იაპონურს), მენტორების დახმარებით ამზადებენ მომავალი დღის გაკვეთილებს.

პანსიონი მეგობრობს სკანდინავიის ქვეყნებში საუკეთესოდ მიჩნეულ შვედეთის სიქტურას პანსიონთან, ტოკიოს ოტა-შიოზენის სკოლასთან, ბავშვები ელექტრონული ფოსტის საშუალებით წერილებს უგზავნიან იაპონელ თანატოლებს. პანსიონის I-III კლასის მოსწავლეებმა იაპონურ ენაზე სპექტაკლიც კი დადგეს და იაპონური სიმღერებიც შესანიშნავად შეასრულეს.

მომავალი წლიდან პანსიონთან გაიხსნება მოსამზადებელი ჯგუფები. აქ პატარებს მოამზადებენ პანსიონის საკმაოდ რთული სასწავლო პროგრამის ასათვისებლად.

მისამართი: 380054 ქ. თბილისი,
ქუთაისის ქ. №20
ტელ.: 34-87-25, 8 99 519 004
ელ-ფოსტა: mthiebi@caucasus.net

მედეა ბლიაძე

ბამოცანა

ხან ბურთია, მრგვალი ბურთი,
ხან — უტარო ნამგალი.
ცაა მისი მოედანი,
ცაა მისი ნამკალი.

ციდან ღამით ხან გვინათებს,
ხანაც არის ჩამქრალი.
შენ თუ ჯამბაზი გგონია,
არ იქნები მართალი.

(ლაზდ)

დოდო ხანთაძე-იაშვილი

კეთილი დაიკო

მე ხომ შენზე უფროსი ვარ?
უნდა გავხდე ეძღვნის მალე...
რატომ ცელქობ? რად მაბრაზებ?
ნუ მატირებ, გენაცვალე.
ალბათ, ხედავ,
რამდენს გითმენ,
რამდენ ჩხუბში გაგეცალე.
შენი ცუდი საქციელი
ბევრჯერ არ ვთქვი,
ბევრჯერ ვმალე.
ამნაირი უოფაქცევა
არ შეგშვენის, გენაცვალე.
გამოსწორდი, თორემ ვშიშობ,
არ გადიქცე ბიჭად მალე.

მთვარისა ქერესელიძე

ბაჭიას სიმღერა

აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო,
ჯერ მზის სხივიც არ მიხახავს,
ჩირგვში ვხიკარ ბაწიაო.
დედამ ქურქი შემიკერა,
აჭი-გაჭით მაცვიაო,
აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო.
ეურცანცარა ნაცარებო,
ცოტა კიდევ მაცალეთო,
სულ ორ დღეში მოლიანზე
როგორ გავიცანცარებო...
აჭიაო, ბაჭიაო,
ეურცქვიტა ვარ, ჰრანჭიაო!

მაკა მიქელაძე

ოკრობოკრო

ოკრობოკრო, ოკრობოკრო,
ტყეში არის ბევრი სოკო.
ოჰო-ჰოჰო, ოჰო-ჰოჰო,
მიტომ გარბის ტყეში კოკო.
თან ასწავლის ციცქნა ნიას,
ციდა ნიას ნაწნავიანს:
— ნია, ჩემო ბაწიაო, ერთი ბეწო დაიაო,
შენ რომ სოკო გეგონაო, არის ჭიამაიაო.
აზლუქუნდა ცქნაფა ნია,
წრიბა ნია-გოგონია,
ცრემლი სცვივა ოკრობოკრო,
ოჰო-ჰოჰო, ოჰო-ჰოჰო,
— მაიასი რატომ ჰქვია?!
ჩემი არის, ნიას ჭია!

მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

ტოპ-მოდელის სიურპრიზები

საგაზაფხულოდ „დილის“ ტოპ-მოდელმა, პატარა ნია წივწივაძემ სიურპრიზები შემოგვთავაზა; მოდების სამყაროში თუ სამზარეულოში მოპოვებული წარმატებების შემდეგ მან მხატვრობაში მოსინჯა ძალა და აქაც ისახელა თავი. ნიას ნამუშევრებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. პროფესიონალებმა ამ ნახატებში ხალასი ნიჭი, გემოვნება და იუმორი დაინახეს. ვნახოთ, კიდევ რით გაგვახარებს ჩვენი ტოპ-მოდელი მომავალში.



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის ნიამ სააღდგომო სუფრის გალამაზებაზეც იზრუნა. ლანგარზე ამოსულ ჯეჯილში ჩაწყობილი წითელი კვერცხებით შეგიძლიათ სუფრაც დაამშვენოთ და სტუმრების წინაშე თავიც მოიწონოთ.

მომზადების წესი: ლანგარზე 2-3 სანტიმეტრის სისქის, წყალში დასველებული ბამბა დააფინეთ და ზედ ხორბლის მარცვლები თანაბრად დაყარეთ. ყოველ მეორე დღეს დანამეთ. ათ დღეში ლანგარზე მწვანე ჯეჯილი ამობიბინდება. სააღდგომოდ ამ ჯეჯილში წითელი კვერცხები ჩააწყვეთ.

სალომე ომიაძე

ჭეშმარიტად!

ხუთი წლისაც ჯერ არ არის,
გაგვახარა დღეს მარიტამ,
რომ ვუთხართ: „ქრისტე აღსდგა!“
გვიპასუხა: „ჭეშმარიტად!“

საღვთო კვერცხი

ისე მიეკარს ეხდროთი
შეღებილი კვერცხები,
ვამტვრევ, ვამტრევ,
ვჭამ და ვჭამ,
ვერ ეძღები და ვერ ეძღები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ამ ნახატზე სიმაღლეზე ხტომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ანტილოპა, ადამიანი, პინგვინი, პუმა, დელფინი და კენგურუ. შეაფასეთ მონაწილეთა შესაძლებლობები და ცხრილში ყველას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინეთ.

ანაგრამა

(ასოების გადასმა ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ)

ასოებისგან, რომლებსაც მოცემული სიტყვა შეიცავს, უნდა შეადგინო იმავე ბგერითი რაოდენობის, მაგრამ სხვა შინაარსის სიტყვა. თითოეული ასო მხოლოდ ერთხელ შეგიძლია გამოიყენო.

მიწა — წამი

კვირა — ------, -----

ლობიო — ------

ტონა — ----

კანჭი — -----

რიცხვი — -------

სილა — ----

ტირე — ----

თამაში — ------

მხატვარი თეა მიქაია

ტერიტორიის გეგმა

ტერიტორიაზე გაავლეთ საზღვარი ისე, რომ ლევანს და ანას თანაბარი რაოდენობის ბურთები, დათუნიები და ჩიკორები შეხვდეთ.



TOM and JERRY

ჩვენო პატარა მეგობარო, ვიცით, რომ შენ და შენს თანატოლებს ძალიან გიყვართ მულტფილმები, თქვენი საყვარელი მულტიპლიკაციური პერსონაჟებიც გყავთ და გინდათ ყველაფერი იცოდეთ მათ შესახებ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ გიამბოთ ყველაფერი ტომზე და ჯერიზე, ფიფქიასა და შვიდ ჯუჯაზე, კატა ლეოპოლდზე, ალადინზე და სხვებზე.

მოდი, ამჯერად ცოტა შორიდან დავიწყოთ...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანის ცხოვრებაში ბევრი ტექნიკური სიახლე შემოვიდა, მათ შორის კინემატოგრაფიც. მისი დაბადების თარიღად 1896 წელია მიჩნეული, როცა ძმებმა ლუმიერებმა პარიზში, კაუცინების ბულვარზე პირველად აჩვენეს მათ მიერ გამოგონებული აპარატით გადაღებული „მოძრავი სურათები“. პრემიერა სკანდალური აღმოჩნდა: როცა ეკრანზე ორთქლმავალი ამოძრავდა, მაყურებელს მოეჩვენა, რომ ეს „გაცოცხლებული“ უზარმაზარი მანქანა პირდაპირ დარბაზისკენ მოდიოდა და იქ მყოფი კარგ დღეს არ დააყრიდა. შეშინებული ხალხი წივილ-კივლით გარბოდა დარბაზიდან. მოძრაობის საიდუმლო ძალიან უბრალო იყო: ლუმიერების აპარატი ფირზე დაფიქსირებულ სურათებს სწრაფად აჩვენებდა, მომდევნო კადრი მანამდე ჩნდებოდა, სანამ წინა მხედველობის არიდან გაქრებოდა – ეკრანზე კი ჩანდა, რომ ორთქლმავალი ჯიქურ მოიწევდა მაყურებლისკენ.



ძმები ლუმიერების აპარატს კინემატოგრაფი უწოდეს (ბერძნულიდან: კინემა – მოძრაობა, გრაფო – წერა), ხოლო თავად მომრავ სურათებს – კინო.

მულტიპლიკაცია ლათინური სიტყვაა და გამრავლებას ნიშნავს. კინოხელოვნების ამ დარგს საფუძველად კარიკატურა და კომიქსები დაედო. პირველი მულტფილმი მე-20 საუკუნის ათიან წლებში გაჩნდა. ნახატი მულტიპლიკაციის ფუძემდებლად თვლები ფრანგი მხატვარი-კარიკატურისტი ედვარდ კოლი. 1908 წელს პარიზში აჩვენს მისი ნახატი ფილმი „ფანტასმაგორია“, რომელშიც კოლმა მულტიპლიკაციური (კადრობრივი) გადაღების გამოყენებით „გაცოცხლა“ (აამოძრავა) თავისი ნახატი მოთხრობის პერსონაჟები. იმისათვის, რომ ნახატმა ამოძრაოს, თითოეული მოძრაობის შესატყვისი რამდენიმე ათეული ნახატი უნდა დაიხატოს. შემდეგ ამ ნახატებს თანმიმდევრობით გადაიღებენ ფირზე.. ათწუთიანი მულტფილმისთვის საშუალოდ თხუთმეტი ათასი ნახატია საჭირო, წამში 24 ნახატი. როგორც ხედავ, მულტფილმის „ეთერი“ ძნელი და შრომატევადი სამუშაოა.

ნახატი მულტიპლიკაციური ფილმების გარდა, არსებობს თოჯინური ფილმებიც. ბოლო ხანს ეკრანზე კომპიუტერით შექმნილი სურათებიც გამოჩნდა.

ალბათ, გაგიგია უოლტ დისნეის სახელი. იგი მულტიპლიკაციის ისტორიაში ძალიან ცნობილი კაცი იყო. სწორედ მან შექმნა „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ (1938 წ.), „ბემბი“ (1942), „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ (1951), „ძმინარე მზეთუნახავი“ (1958), დონალდ დაკის სერიალი... ისიც იცი, რომ არსებობს ქალაქი „დისნეილენდი“. მას სახელი უოლტ დისნეის პატივსაცემად უწოდეს. დისნეილენდში მხოლოდ ბავშვებისთვის საყვარელი ზღაპრების პერსონაჟები ცხოვრობენ და იქ უამრავი ატრაქციონი და გასართობია.

ჩვენი დღევანდელი სტუმრები ტომი და ჯერი კინოკომპანია „მეტრო გოლდვინ მაიერში“ „გაჩნდნენ“. 1940 წლის თებერვალში კინოეკრანებზე გამოჩნდა პირველი ფილმი ტომის მონაწილეობით. მას შემდეგ ყოველ წელიწადს იქმნებოდა ახალი სერიები, რომლებიც მიამტები ფისოს და ონავარი თაგუნას ფათერაკებიან ურთიერთობაზე მოგვითხრობდა. მარტო 1940-1958 წლებში ასზე მეტი სერია გადაიღეს. ამ პერიოდში „ტომმ და ჯერიმ“ შვიდჯერ მოიპოვა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო „ოსკარი“ და კიდევ ექვსჯერ წარადგინეს ამ ჯილდოზე. არასდროს არც ერთ მულტფილმს (თვით დისნეის მულტფილმებსაც კი) ასეთი წარმატება არ მოუპოვებია.

პირველ ფილმში („ფისუნიას მოხვდა ჩექმა“) მხოლოდ კატა მონაწილეობდა და მას ტომი კი არა, ჯასპერი ერქვა. მეორე სერიიდან გამოჩნდა ჯერი, ჯასპერი კი ტომად იქცა. თავდაპირველად ტომი აყლაყუდა და თმაგაბურძგნილი კატა იყო, ჯერის პატარა ყურები და დიდი ცხვირი ჰქონდა. დროთა განმავლობაში ტომი დამოკლდა, ცოტა დამრგვალდა, ბეწვიც დაივარცხნა და ცივილიზებულ კატას დაემსგავსა. ჯერიც დაიზვეწა და ისეთი გახდა, როგორსაც დღეს ვხედავთ, მხოლოდ ზასითი არ შეუცვლია: ახლაც ისე აბრაზებს ტომის, როგორც ორმოცდან წლებში.

პარიპატეტა – *ნახატი, რომელზედაც ვინმე ან რამე სასაცილოდ არის გამოსახული, კარიკატურისტი – კარიკატურის მხატვარი.*

კომიქსი – *მომცრო წიგნი. შეიცავს ნახატების სერიას მოკლე წარწერებით, რომელთაგანაც გამოდის გაბმული თხრობა.*

მასალა მოამზადა **ირმა ლიპარტელიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაფერადოთ ცოცხალი ბუნების ძალებით

1) ცისფერი, 2) წითელი, 3) ყვითელი, 4) ვარდისფერი,
5) ლურჯი, 6) სტაფილოსფერი, 7) ნაცრისფერი, 8) მწვანე, 9) ყავისფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია თავის პატარა, და არამარტო პატარა, მკითხველებს აცნობებს, რომ ჟურნალ „დილის“ დამატება „აი ია“ ჯერჯერობით არ გამოსულა. ამჟამად გამომავალი „აი ია“ კერძო გამოცემაა და საერთო არაფერი აქვს ჟურნალ „დილასთან“.

ყურადღება მოგება!

„დილის“ ამ ნომერში კვლავ თამაშდება საიდუმლო ლატარია. მოგებიანი ნომრები, რომლისთვისაც დაწესებულია 200 პრიზი, გამოცხადდება „დილის“ შემდეგ ნომერში.

ძვირფასო ბავშვებო!

ვიდეოსტუდია „ალემარი“ გთავაზობთ მულტიპლიკაციურ ფილმებს ქართულ ენაზე, ლიცენზირებულ კასეტებზე, ასევე ფილმებს ორიგინალის ენაზე (ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად და ა.შ.).

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 93-56-15.

გამოფენა!

საგაზაფხულოდ რედაქცია აწყობს ბავშვთა ნახატების გამოფენას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები. თითოეული სკოლა წარმოდგენილი იქნება 5-6 ნამუშევრით.

მონაწილეობის მილების მსურველებს ვთხოვთ ნახატები მოგვიტანონ რედაქციაში ა. წ. 10 აპრილამდე.

დაგვირეკეთ: 93-10-32

გამოიწერეთ ჟურნალი „დილა“

2000 დილა

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, თეა მიქაია, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი

ყდაზე ნახატი: ბიორბი ნაჩანიძისა

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30; გამოდის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი ხელმომწერთათვის 2 ლარი